პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 301 (10695) | პარასკევი, 28 დეკემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

ლიბიის შეერთებული სამეფოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მუსტაფა ბენ ჰალიმის დეპეშა ამხანაგ ნ. ა. ბულგანინისადმი (1-ლი გვერდი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი საბჭოთა ხალხის სამოქმედო პროგრამაა (1-ლი გვერდი).

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე. — ი. გობეჩია. — ავამაღლოთ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა (მე-2 გვერდი).

თ. ქოიავა. — 1957 წელს შეუფერხებლად მუშაობისათვის (მე-2 გვერდი).

მ. ჭიჭინაძე. — სტუმრად მეგობრებთან (მე-2 გვერდი).

ლ. მდივანი. — საინტერესო და სასარგებლო წიგნი (მე-2 გვერდი).

პროდუქციის წარმოებაში შრომალაბორატორიული ... საშუალებების დანახარჯების აღრიცხვა კოლმეურნეობებში (მე-3 ... გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ახალი წარმატებებისათვის სოფლის მეურნეოებაში

ჩვენს წინ არის რედაქციაში შემოსული მუშსოფლკორთა წერილები. კოლმეურნეები, მექანიზატორები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები აღფრთოვანებით მოგვითხრობენ ჩვენი საკოლმეურნეო ცხოვრების სიმართლეზე, იმ ცვლილებებზე, რაც ამ ბოლო წლებში მოხდა სოფლად. ისინი წერენ საკოლმეურნეო სოფლის ადამიანების დიდ შრომითს აღმავლობაზე, მათ დაუღალავ მუშაობაზე იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილში წითლის მტს-ის მთავარი ზოოტექნიკოსი რ. გონაშვილი წერს: „მტს-ის ზონის კოლმეურნეობები ახალ წარმატებებს აღწევენ მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის ბრძოლაში. ახალ სამეურნეო წელს ოქტომბერ-ნოემბერში ერთ ძროხაზე მიიღეს 221 კილოგრამი რძე, ხოლო გასული წლის ამავე თვეებში 163 კილოგრამი. კოლმეურნეები ენერგიულად ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის“.

მახარაძის რაიონის ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი მ. მეხუზლა გვატყობინებს: „საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა სერიოზული მუშაობა გასწია სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. მეურნეობამ მნიშვნელოვანი გადამეტებით გაანაღდა ჩაის კრეფის წლიური დავალება. გაიზარდა მუშების შრომის ნაყოფიერება, მთელი კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ მეურნეობა გადააქციოს სანიმუშო მაღალშემოსავლიან მეურნეობად“.

უკანასკნელ ხანს სოფლკორთა წერილებს შრომითი წარმატებების შესახებ ხშირად ვხვდებით სარედაქციო ფოსტაში.

მოახლოვდა ახალი წელი — მეექვსე ხუთწლედის მეორე წელი. კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშები აჯამებენ მიმდინარე სამეურნეო წლის შედეგებს. ყოველი საბჭოთა ადამიანის გულს ახარებს ის წარმატებანი, რაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულია საქართველოს მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში. საქართველოს ბევრმა კოლმეურნეობამ წელს მოიყვანა სასოფლო-სამეურნეო კულტურების კარგი მოსავალი, საგრძნობლად გაადიდა შემოსავალი. ახლა ჩვენს რესპუბლიკაში 580-ზე მეტი მილიონერი კოლმეურნეობაა.

მოსავლიანობის ამაღლებაში, კოლმეურნეობათა შემოსავლის გადიდებაში სერიოზული წვლილი მიუძღვით ჩვენს მექანიზატორებს, რომლებმაც პირველხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ჩააყენეს მშრომელთა მასების სამსახურში. კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შემოქმედებითმა თანამეგობრობამ ჩინებული ნაყოფი გამოიღო. საქართველოს მტს-ებმა სატრაქტორო სამუშაოთა 1956 წლის გეგმა 101,9 პროცენტით შეასრულეს. შარშანდელთან შედარებით რბილ ხვნაზე გადაყვანით გამომუშავებულია 10 ათასი ჰექტარით მეტი.

პარტია გვასწავლის, რომ არ მივეცეთ თვითკმაყოფილებასა და თვითდამშვიდებას მოპოვებული წარმატებების გამო.

1957 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკების წინაშე ახალი, დიდი ამოცანებია დასახული. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრ გადიდებასთან ერთად მიღწეულ უნდა იქნას პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომისა და მატერიალური სახსრების ხარჯვის საგრძნობი შემცირება. მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მუშობა აშკარად მოწმობს, რომ სოციალისტურ სოფლის მეურნეობას უდიდესი რეზერვები აქვს ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის. ამ რეზერვების სრულად გამოყენება გამოიწვევს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების შემდგომ სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, რომელთა ეკონომიკაში მიმდინარე წელს არსებითი გაუმჯობესება არ მომხდარა. რით აიხსნება, რომ ერთსა და იმავე რაიონში კოლმეურნეობები, რომლებიც დაახლოებით ერთნაირ პირობებში არიან და თანაბარი შესაძლებლობები აქვთ, მუშაობის სხვადასხვა შედეგს იღებენ?

მიმდინარე რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე დელეგატები ანალიზს უკეთებენ კოლმეურნეობათა ეკონომიურ მაჩვენებლებს და სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ასეთი მდგომარეობა შეიძლება აიხსნას უწინარეს ყოვლისა პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის სხვადასხვა დონით.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოწოდებული არიან გადაჭრით აამაღლონ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე, გახადონ იგი უფრო კონკრეტული, ოპერატიული და ქმედითად დაეხმარონ კოლმეურნეობებს მთელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მაქსიმალურად გამოყენებაში.

მომავალი წლის უხვი მოსავლის ბედს წყვეტს საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ მომზადება და ჩატარება. ამავე დროს არის სიგნალები, რომ ზოგან გაზაფხულისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მაგალითად, 20 დეკემბრისათვის ტრაქტორების რემონტის მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის რემონტის ტემპი დაბალი იყო კასპის, ახალქალაქის, საგარეჯოს და სხვა მტს-ებში. მექანიზატორთა ღირსების საქმეა განახორციელონ რემონტის პროგრესული კვანძური მეთოდი და მიაღწიონ სამუშაოთა დაჩქარებას, ხარისხის გაუმჯობესებასა და შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

ხორცის, რძის, მატყლის წარმოების გადიდების ინტერესები მოითხოვს, რომ ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ საუკეთესოდ მოაწყოს პირუტყვის გამოზამთრება და არ დაუშვას ზამთარში წველადობის შემცირება. სამწუხაროდ, ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას ზოგან ივიწყებენ და მეცხოველეობისადმი უდარდელ, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენენ. ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი ონის რაიონიდან გვწერს, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში პირუტყვი უზრუნველყოფილი არ არის საკვებით. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ოქტომბერსა და ნოემბერში წველადობამ იკლო გასული სამეურნეო წლის შესაბამის თვეებთან შედარებით. წველადობის შემცირების ფაქტებს ვხვდებით აგრეთვე ყვარლის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ჭიათურის და სხვა რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

საკვირველია, რატომ ურიგდებიან ასეთ მდგომარეობას აღნიშნული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები?

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებებს. ისინი გამოთქვამენ მზადყოფნას განუხრელად განახორციელონ პარტიის საბრძოლო დავალებანი, თანიანთი შემოქმედებითი შრომა მოახმარონ ხალხის კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას.

სოფლის მეურნეობის მუშაკებო, ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლედის მეორე წელს — 1957 წელს კვების პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოების გასადიდებლად, ახალი შესანიშნავი ფურცელი ჩაწერეთ საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიაში!

დეპეშა

მის აღმატებულებას

მარშალ ნ. ა. ბულგანინს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

კრემლი, მოსკოვი

მადლობას მოვახსენებ თქვენს აღმატებულებასა და დიდ საბჭოთა ხალხს ლიბიის დამოუკიდებლობის წლისთავთან დაკავშირებით გამოთქმული კეთილი გრძნობებისათვის.

ჩემი მხრივ გამოვთქვამ, თქვენო აღმატებულებავ, მეგობრულ სურვილებს და ვუსურვებ თქვენს ხალხს ყოველგვარ პროგრესსა და აყვავებას, ხოლო თქვენს მთავრობას შემდგომ წარმატებებს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში და მოღვაწეობის განგრძობას მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

მუსტაფა ბენ ჰალიმი

ლიბიის შეერთებული სამეფოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ტრიპოლი, 25/XII, 1956 წ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი საბჭოთა ხალხის სამოქმედო პროგრამაა

★

განუწყვეტლივ ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებში დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. საავტომობილო ქარხნის სიჩქარეთა კოლოფის საამქროს კბილანების უბანზე აგიტატორ შ. ყორყოლიანის საუბარს 20 ავტომობილმშენებელი დაესწრო. ამწყობმა გ. ნადირაძემ თქვა:

— მშობლიური კომუნისტური პარტიის ზრუნვა მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის თვითეულ საბჭოთა ადამიანს ავალებს გაორკეცებული ენერგიით იმუშაოს სამშობლოს საკეთილდღეოდ. ყოველდღიურ დავალებას 200 პროცენტით ვასრულებ. პირობას ვიძლევი მომავალში კიდევ უკეთესად ვიმუშაო.

მანქანათმშენებელი ქარხნის საექსკავატორო საამქროში აგიტატორ ვ. ცომაიას საუბრის შემდეგ სიტყვა აიღო კბილანმჭრელმა ა. ბარამიძემ, რომელმაც განაცხადა:

— მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებენ მანქანათმშენებლებს. ჩვენ, ქუთაისელმა მანქანათმშენებლებმა, მეექვსე ხუთწლედში უნდა გამოვუშვათ 1.000 ექსკავატორი, 6.800 სამახტე ვაგონი და სხვა მოწყობილობა.

აბრეშუმკომბინატის № 1 საქსოვი საამქროს მოწინავე ფეიქარმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ე. ჯიმშელეიშვილმა თქვა:

— პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებები ჩვენი მუშაობის სამოქმედო პროგრამაა. წლიური დავალება ვადამდე შევასრულე და ახლა ვკისრულობ გეგმის გადამეტებით კიდევ მოვქსოვო 1.500 მეტრი ქსოვილი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ქუთაისელი მშრომელები თავდადებით იბრძვიან მეექვსე ხუთწლედის დიად დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ქალაქის საწარმოებში ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ლოზუნგით:

— ახალი, 1957 სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე უზრუნველყოთ საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულება, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება!

ხალხის ინტერესებისათვის

ჩვენი კოლმეურნეობის წევრები გულდასმით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ მათ.

კოლმეურნეებს კარგად გვაქვს შეგნებული, რომ საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება ჩვენი ღვიძლი საქმეა. ჩვენი კოლმეურნეობის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს ჩაის კულტურას. წელს ვალდებულება ვიკისრე ნახევარ ჰექტარზე მომეკრიფა 11 ტონა ჩაი. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით გავანაღდე. მოვკრიფე და სახელმწიფოს ჩავაბარე 12 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. დარწმუნებული ვარ, რომ შეიძლება ამაზე მეტი წარმატების მიღწევა. კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ ბევრია აუთვისებელი რეზერვები. ჩვენი მიზანია გამოვიყენოთ ეს რეზერვები. მე, როგორც კომუნისტი კოლმეურნე, მომავალშიც თავდადებით ვიბრძოლებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ჩემს წვლილს შევიტან საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების საქმეში. პირობას ვდებ 1957 წელს ნახევარ ჰექტარ პლანტაციაში მივიღო 13 ტონა ჩაის ფოთოლი, მიღებული გამოცდილება ფართოდ გავუზიარო ახალგაზრდა კოლმეურნეებს.

ტატიანა ტყებუჩავა,

ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

★ ★

რუსთავის მეტალურგების შრომითი თავდადება

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს თუჯისა და ფოლადის წარმოების გადიდებით ვუპასუხოთ! — ამ ლოზუნგით მუშაობენ ამ დღეებში ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეები, მებრძმედეები და მგლინავები.

დეკემბრის პლენუმის დადგენილებები მეტალურგთა ყურადღების ცენტრშია. ჩვენი საამქროს მგლინავებს ყოველდღიურად 70-ზე მეტი აგიტატორი აცნობს და განუმარტავს დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამ გადაწყვეტილებათა უდიდეს მნიშვნელობას ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობის საქმეში. გუშინ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით აგიტატორმა ტ. ტურაშვილმა ახალგაზრდა ინჟინრის ა. მაზურეკის ცვლაში საინტერესო, ცოცხალი საუბარი გამართა. აგიტატორის საუბრის შემდეგ გაცხოველებული აზრთა გაცვლა მოეწყო. უფროსმა მვალცავმა დ. ძაგანიამ თქვა:

— პლენუმის გადაწყვეტილებანი ხალხის კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიის დაუღალავი მზრუნველობის ახალი ბრწყინვალე გამოხატულებაა. ამ მზრუნველობის პასუხად ჩვენ, მგლინავები, კიდევ უფრო გავადიდებთ შრომითს აქტივობასა და თავდადებას მეექვსე ხუთწლედის დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

მგლინავთა სიტყვა და საქმე ერთია. დგან „140“-ის მგლინავებმა 24 დეკემბერს ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა და 1957 წლის ანგარიშში უკვე ასობით ტონა მაღალხარისხოვანი მილები გაგლინეს. ამ დღეებში განსაკუთრებით დაწინაურდა ა. მაზურეკის ცვლა. მოწინავე ცვლის კოლექტივმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის გადაწყვეტილებათა პასუხად იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ათას ტონამდე მილები გამოუშვას.

ასევე წარმატებით მუშაობს ამ დღეებში ჩვენი საამქროს დგან „400“-ის მგლინავთა კოლექტივი.

ვ. რევია,

ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს პარტბიუროს მდივანი.

ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის მშენებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს მებათქაშეთა საუკეთესო ბრიგადის ხელმძღვანელი ს. ინშინი. ბრიგადა ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ანაღდებს.

გაეცნო რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამხ. ინშინმა განაცხადა:

— პლენუმის გადაწყვეტილებები სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის მშობლიური კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი ზრუნვის ახალი მკაფიო გამოხატულებაა. ჩვენ, მშენებლები, ყველაზე უფრო განვიცდით დაგეგმვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. ჩვენი № 5 სამშენებლო ტრესტის ობიექტებს სახსრებს დაქსაქსულად აძლევენ. ეს იწვევს თანხებისა და სამშენებლო ტექნიკის არასწორად გამოყენებას, მშენებლობის გაჭიანურებას. მაგალითად, გორკის ქუჩაზე 48-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, რომელზეც წელს სამი მილიონი მანეთის დახარჯვა იყო გათვალისწინებული, დღემდე მხოლოდ 300.000 მანეთია გამოყოფილი. ეს თანხა ჩვენმა ბრიგადამ ორ თვეში აითვისა. ამის მსგავსი მაგალითებია ტრესტის სხვა ობიექტებზეც.

დიდი აქტივობით განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებებს ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი, მანქანათმშენებელი ქარხნებისა და სხვა საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები, ბათუმისა და ქობულეთის რაიონების მეციტრუსეები, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების მეცხოველეები. ყველგან ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ტყიბულელ მეშახტეთა ვალდებულებანი

ტყიბული. (საკ. კორ.). შახტებში, მშენებლობებზე, მუშათა კლუბებსა და წითელ კუთხეებში ათასობით ადამიანი ეცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მიღებულ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

სტალინის სახელობის შახტის ახალგაზრდა მეშახტემ ლ. დიაკონიძემ პლენუმის გადაწყვეტილებათა გაცნობის შემდეგ განაცხადა:

— ჩვენ, ტყიბულელი მეშახტეები, მხურვალედ ვიწონებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელთა პრაქტიკულად განხორციელება ხელს შეუწყობს მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას, საბჭოთა სამშობლოს ძლიერების განუხრელ განმტკიცებას. მეექვსე ხუთწლედში ჩვენმა შახტმა უნდა აითვისოს საპროექტო სიმძლავრე. ეს ჩვენგან მოითხოვს უფრო მეტი ენერგიით მუშაობას, არსებული რეზერვების სრულად გამოყენებას. ჩემი ვალდებულებაა ახალ, 1957 სამეურნეო წელს ქვანახშირის ამოღების ყოველთვიური დავალება 130 პროცენტით შევასრულო.

სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი პლენუმის გადაწყვეტილებებს ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის ბრძოლის გაძლიერებით უპასუხებს. 25 დეკემბერს შახტმა ვადამდე შეასრულა ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა, 1957 წლის ანგარიშში უკვე ამოღებულია ასობით ტონა ქვანახშირი.

თბილისის მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის სადოპელო საამქროს აგიტატორი თ. ხუჭუა მუშებს აცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებებს.

ფოტო შ. გოქაძისა.

სამშობლოს საკეთილდღეოდ

ბოლნისი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის საწარმოებსა და კოლმეურნეობებში დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ხიდაშელმა განაცხადა:

—მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავენ ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობისათვის. 1956 წელს დიდი ღონისძიებები განხორციელდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ზრდის იმ პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი ახალი საგმირო საქმეებისაკენ მოგვიწოდებენ. შეუპოვარი და თავდადებული შრომით, სიუხვის შექმნით საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ჩვენს წვლილს შევიტანთ კომუნიზმის დიადი მშენებლობის საქმეში. კოლმეურნეთა სახელით პირობას ვიძლევი, რომ ერთიორად გავზრდით როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას, ისე საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობასა და პროდუქტიულობას.

— პარტიის მზრუნველობის პასუხად პირობას ვიძლევით, — თქვა ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირმა ე. ჯაფარიძემ, — მოწინავე გამოცდილების ფართოდ გამოყენებით კიდევ უფრო გავზარდოთ სიმინდის მოსავლიანობა. წელს ჩვენმა ბრიგადამ 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 630 ფუთი სიმინდი (ტაროდ) და მოსავლიანობის გეგმას 430 ფუთით გადააჭარბა. მაგრამ მიღწეულით არ ვკმაყოფილდებით. ვიბრძვით იმისათვის, რომ 1957 წელს საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 700 ფუთი სიმინდი (ტაროდ). ამ ვალდებულების უკეთ შესრულების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ჩვენი კოლმეურნეობის ბრიგადას, რომელსაც ვ. ბრეგვაძე ხელმძღვანელობს.

ბოლნისელი კოლმეურნეები აქედანვე იმარაგებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლს, ამუშავებენ ნიადაგს, ვენახებში შეაქვთ სახუქები. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა შემდგომ გაამრავლონ საკოლმეურნეო დოვლათი.

მეჯი მაღალხარისხოვანი მარგანეცი — სამშობლოს

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელი მაღაროელები დიდი მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

ლენინის სახელობის მაღაროს ნოვატორმა მბურღავმა გ. თოდაძემ, რომელიც დიდი ინტერესით გაეცნო პლენუმის დადგენილებებს, განაცხადა:

— საბჭოთა ხალხი თავდადებულ შრომას ეწევა მეექვსე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. მაგრამ დაგეგმვის საქმეში იყო შეცდომები, რაც იწვევდა გრაფიკის დარღვევას, არარიტმულ მუშაობას, მშენებლობის გაჭიანურებას და სხვ. პლენუმის გადაწყვეტილებები ბოლოს უღებენ ამ მდგომარეობას. ჩვენ, მაღაროელები, კიდევ უფრო გავაძლიერებთ ბრძოლას ახალი ტექნიკის სრულად გამოყენებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

ჭიათურელი მაღაროელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად კისრულობენ 1957 წელს კიდევ უფრო გააძლიერონ მარგანეცის ამოღების ტემპები.

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

ავამაღლოთ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა

უკანასკნელ წლებში ოჩამჩირის რაიონში მნიშვნელოვნად ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა, გაიზარდა კოლმეურნეობათა შემოსავალი. მაგრამ მუშაობის გარდაქმნა სკკპ XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესაბამისად ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს, კვლავ ბევრია ნაკლი ცალკეული კოლმეურნეობების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიონული კომიტეტის, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში.

ყოველივე ამის შესახებ გაცხოველებული მსჯელობა იყო ოჩამჩირის XXX რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, რომელმაც რაიკომის ანგარიში განიხილა. როგორც კამათის მონაწილე დელეგატებმა აღნიშნეს, პარტიის რაიონული კომიტეტი და ინსტრუქტორთა ჯგუფები მტს-ების ზონებში ჯერ კიდევ სუსტად ეხმარებიან საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს, არადამაკმაყოფილებლად ზრუნავენ მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის.

მომხსენებელმა—რაიკომის მდივანმა ს. ალანიამ და კამათის მონაწილეებმა დაასახელეს მთელი რიგი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები, სადაც ჩაშლილია პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა. სოფელ ტამიშის სტალინის სახელობის, სოფელ აძიუბუის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში, სოფელ ჭლოუს კოლმეურნეობა „ალაშარაში“ ცალკეული კომუნისტები და მათი ოჯახის წევრები აქტიურად არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ შრომაში.

მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები ნაცვლად იმისა, რომ ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდნენ მასებში და ამაღლებდნენ კომუნისტების ავანგარდულ როლს, თვითონ სჩადიან სკკპ წევრისათვის შეუფერებელ საქციელს. მაგალითად, სოფელ თხინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი რ. დოჩია მოიხსნა სამუშაოდან და დაედო მკაცრი პარტიული სასჯელი საკოლმეურნეო ქონების მტაცებლობაში ხელისშეწყობისა და ყოფაცხოვრებითი გახრწნილებისათვის. ლოთობისათვის მკაცრად დაისაჯა აგრეთვე კინდღის ჩაის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. აბაკელია, ხოლო სოფელ ილორის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის ყოფილი მდივანი ი. ძიგუა საკოლმეურნეო მიწების დატაცებისა და გაყიდვისათვის პარტიის რიგებიდან იქნა გარიცხული.

აღნიშნული ფაქტები იმას მოწმობენ, რომ რაიკომი მთელი სერიოზულობით არ ეკიდება კადრების შერჩევასა და განაწილებას, პირველადი პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებას საქმის მცოდნე, უნარიანი მუშაკებით.

კონფერენციის დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში განაცხადეს, რომ რაიკომი სუსტად ხელმძღვანელობდა პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, ნაკლებად ზრუნავდა მათი აღზრდისა და პოლიტიკური გამოწრთობისათვის, იშვიათად აწყობდა სემინარებს, არ უწევდა მდივნებს კვალიფიციურ ინსტრუქტაჟს, არაფერი კეთდებოდა მოწინავე პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელებისათვის.

კამათის მონაწილეებმა გააკრიტიკეს პარტიის რაიკომის მდივნები ს. ალანია, ო. ურიდია, ნ. კვირტია, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ტ. სოსელია იმისათვის, რომ ისინი ადგილებზე მისვლისას საფუძვლიანად არ ეცნობიან კოლმეურნეობათა ეკონომიკას, ღრმად არ სწავლობენ ჩამორჩენის გამომწვევ მიზეზებს. რაიონის პარტიული და საბჭოთა მუშაკები მრავალჯერ ყოფილან სოფელ აგუბედიის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“, მაგრამ, სამწუხაროდ, ადგილზე მათ ყოფნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. კოლმეურნეობა და მისი პარტიული ორგანიზაცია წინანდებურად ცუდად მუშაობენ.

სიტყვებით გამოსულმა დელეგატებმა ბევრი საქმიანი შენიშვნა გააკეთეს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, განსაკუთრებით მისი სასოფლო-სამეურნეო განყოფილების მისამართით.

— საანგარიშო პერიოდში, — თქვა ოჩამჩირის მეორე მტს-ის დირექტორმა ა. მარხულიამ, — არ მახსოვს, რომ ჩვენთან ჩამოსულიყვნენ პარტიის საოლქო კომიტეტის მუშაკები, გასცნობოდნენ საქმის მდგომარეობას, მიეცათ რჩევა-დარიგება მტს-ისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებისათვის.

— პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტად დაყენების შედეგად,— აღნიშნა პარტიის რაიკომის მდივანმა პირველი მტს-ის ზონაში ნ. კვირტიამ, — ცალკეული კოლმეურნეები, მათ შორის კომუნისტებიც, სუსტად მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში. რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი ვერ იჩენს ინიციატივას პარტიული და სამეურნეო ცხოვრების მტკივნეული საკითხების გადაჭრაში. ამითაც არის გამოწვეული ის, რომ ჩვენი მტს-ის ზონის თითქმის ყველა კოლმეურნეობაში წელს ჩაიშალა ჩაის კრეფის გეგმა.

კონფერენციაზე არაფერი თქმულა იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობდნენ პარტიის რაიკომის წევრები. ამასთან აუცილებელია აღინიშნოს, რომ რაიკომის წევრები მ. ქეცბა, ვ. ტუბა, ხ. ქუჩუბერია, ტ. ბაგათელია სუსტად იბრძოდნენ პარტიული კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ცუდად ეხმარებოდნენ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს.

პარტიულ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ა. ბონდარევი.

* * *

ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმმა პარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ს. ალანია, მეორე მდივნად — ო. ურიდია, მდივნად პირველი მტს-ის ზონაში — ნ. კვირტია, მდივნად მეორე მტს-ის ზონაში — ს. სააკიანი.

ი. გოგბეჩია,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ასანთის ახალი ავტომატი

ნელა მოძრაობს კონვეიერი. მის ტილოზე ისე მოჩანან ღერები, როგორც ჯაგარი ჯაგრისზე. ეს მომავალი ასანთის ღერებია. კონვეიერი განაგრძობს გზას და პარაფინში ავლებს ღერებს, რომელთა ჭოლოები შემდეგ ასანთებ მასაში ამოვვლება. ასე ვიღებთ ასანთის თავებს. შემდეგ კონვეიერი ასანთს აშრობს ცხელი ჰაერის ნაკადით და აწყობს სპეციალურ კასეტებში. მთელი ეს პროცესი 45 წუთს გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში მზადდება 1 მილიონი 600 ათასი ღერი ასანთი.

ეს პროცესი ხდება ასანთის ახალ ავტომატზე — დიდ და რთულ მანქანაზე, რომელიც ახლახან გამართეს მცხეთის ასანთის ფაბრიკაში. მისი წარმადობა დიდია. ცვლაში კონვეიერიდან იღებენ 10 მილიონ ღერ ასანთს. ავტომატი დამზადებულია მაღალხარისხოვანი მასალებისაგან უახლესი ტექნიკის მიღწევების გათვალისწინებით. მას მომსახურებას უწევს 8 კაცი.

— ახალი ავტომატი, — ამბობს ფაბრიკის მთავარი მექანიკოსი ამხ. მ. თელია, — ბევრად ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, ზრდის პროდუქციის გამოშვებას და აუმჯობესებს მის ხარისხს. ჩვენ მოუთმენლად მოველოდით ავტომატის მიღებას. ავტომატის მიღებისთანავე საჭირო იყო უმოკლეს ვადაში მოგვეხდინა ძველი მოწყობილობის დემონტაჟი და დაგვედგა ახალი მანქანა. ასეთი სამუშაოსათვის ინსტრუქციით გათვალისწინებულია 45 დღე, მაგრამ არ შეგვეძლო თვენახევრის განმავლობაში არ გამოგვეშვა პროდუქცია. საჭიროდ მივიჩნიეთ მთელი რესურსების და შესაძლებლობების მობილიზება. მოწყობილობის მონტაჟს ვაწარმოებდით ორ ცვლად. მუშაობა დავიწყეთ 28 ნოემბერს და ყველა სამუშაო, ავტომატის გამოცდის ჩათვლით, დავამთავრეთ 10 დეკემბერს. მანქანის მონტაჟზე სასახელოდ იმუშავეს მექანიკოსმა ი. ბუთხუზმა და ზეინკალმა ი. გიგაურმა.

ახლა, როდესაც ასანთის გამოშვება ბევრად გაიზარდა, საჭიროა ავამაღლოთ კოლოფებში ჩასაწყობი მანქანების წარმადობა.

ფაბრიკის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ აინაზღაუროს ავტომატის მონტაჟზე დაკარგული დრო და რესპუბლიკას მისცეს ასეულ ათასობით კოლოფი მაღალხარისხოვანი ასანთი.

* * *

სურათებზე: ზემოთ—მედაზგე ა. აკინინა და დამტენი მ. წიკლაური მუშაობენ ახალ აგრეგატზე; ქვემოთ — ი. დუგანოვა. იგი ჩასაწყობ მანქანაზე ცვლაში ნაცვლად 60.000 კოლოფისა იძლევა 75.000 კოლოფ ასანთს.

ტექსტი და ფოტო ვ. გინზბურგისა.

1957 წელს შეუფერხებლად მუშაობისათვის

თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნის კოლექტივმა წელს საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 10 დეკემბრისათვის შეასრულა.

ეს ქარხანა ამზადებს სხვადასხვა მოცულობის ცისტერნებსა და ლითონის კასრებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ყამირ მიწებზე იგზავნება, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენ ანძებს, შენებლობებზე საჭირო ლითონის სხვადასხვა კონსტრუქციებს და ა. შ.

წელს საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულება ქარხნის კოლექტივს გაუადვილა ახალი ტექნიკის დანერგვამ, რაციონალიზატორული მუშაობის მასობრივად გაჩაღებამ. თუ წინათ ლითონკონსტრუქციების შედუღება ხელით წარმოებდა, წელს ეს სამუშაო ავტომატებით და ნახევრადავტომატებით სრულდება. ამით მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. წინა წლებში ცისტერნის კორპუსზე ფსკერი მაგრდებოდა სალტეების საშუალებით, რაც დიდ დროსა და მასალას მოითხოვდა. ახლა ცისტერნის ფსკერს ამაგრებენ უსალტეოდ ცისტერნის კორპუსზე პირდაპირი მიდუღებით. ამით მიღწეულია ლითონის საგრძნობი ეკონომია და ცისტერნებიც გაცილებით უფრო გამძლე და მოხდენილი გამოდის.

მაგრამ მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით წელს ქარხანა ჩამორჩა. მაგალითად, ცისტერნების დამზადების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 95 პროცენტით. ამის მთავარი მიზეზია ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მოუწესრიგებლობა. ათას ტონაზე მეტი ლითონი, რაც ქარხანაში წელს უნდა მიეღოთ, ჯერაც არ მიუღიათ. მარტო რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ წელს ამ საწარმოს კოლექტივს სამასი ტონა ფურცლოვანი რკინა დააკლო. ამის შედეგად ქარხნის კოლექტივს ჩაეშალა სოფლის მეურნეობისათვის დიდად საჭირო ცისტერნების დამზადების გეგმა.

ქარხანა უკვე კარგა ხანია შეუდგა მზადებას მომავალი სამეურნეო წლის გადიდებული ამოცანების შესასრულებლად. დამუშავებულია ღონისძიებანი ყველა იმ შეფერხების თავიდან ასაცილებლად, რომლებმაც შესაძლოა დაბრკოლოს ქარხნის გამართული მუშაობა 1957 წელს.

მთავარი ღონისძიება, რაც ხელს შეუწყობს ქარხნის კოლექტივს, არის ქარხნის გადატანა ახალ ადგილზე, სადაც შესაძლებელი იქნება წარმოების უფრო კულტურულად მოწყობა, ახალი ტექნიკის სრული სიმძლავრით გამოყენება და მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესება.

მომავალ სამეურნეო წელს ქარხანაში შეუდგებიან ახალი პროდუქციის — კოშკურა ამწეების გამოშვებას, რომლებზეც რესპუბლიკაში საბინაო და სამრეწველო მშენებლობის ფართოდ გაჩაღების გამო დიდი მოთხოვნილებაა. კოშკურა ამწეების გამოსაშვებად საჭირო წინასწარ მზადებას — აღჭურვილობის, ნახაზების, ტექნოლოგიური სქემების მომზადებას უკვე შეუდგნენ.

დაწყებულია აგრეთვე მუშაობა კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რათა მათ წარმატებით აითვისონ ამ ახალი პროდუქციის გამოშვება. საგულდაგულო ღონისძიებებია შედგენილი საჭირო ლითონით მომარაგების მოსაწესრიგებლად. ამთავითვე მიღებული აქვთ ზომები იმისათვის, რომ შექმნან აუცილებლად საჭირო ძირითადი მასალების, დეტალებისა და ხელსაწყოების დეკემბრიდან იანვარში გარდამავალი მარაგი.

ამჟამად ქარხანაში დაწყებულია მუშათა წინადადებების შეგროვება მომავალ წელს უფრო გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად. საერთო განხილვის შემდეგ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საარგებლო საუკეთესო წინადადებების შეტანა განზრახულია 1957 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებაში.

თ. ქოლიავა.

სტუმრად მეგობრებთან

თბილისის 67-ე სამუშაო სკოლის მოსწავლეთა ერთი ჯგუფი ამ დღეებში მასწავლებელთა თანხლებით [illegible] დედაქალაქს [illegible] სომეხი [illegible] ატომანქანებით [illegible] ყვანეს.

პირველ დღეს ქართველმა მოსწავლეებმა ინახულეს დიდი სომეხი მწერლის ოვანეს თუმანიანის სახლი-მუზეუმი. მუზეუმის დირექტორმა მწერლის ქალიშვილმა ამბავნ თუმანიანმა ბევრი რამ საინტერესო უამბო ბავშვებს ოვანეს თუმანიანის ცხოვრებიდან.

იმავე დღეს თბილისელმა ბავშვებმა დაათვალიერეს ერევნის პიონერთა სასახლე, გაეცნენ მის ცხოვრებას, წრეების მუშაობას. ნახეს ფიზკულტურის დარბაზი: სასახლის დიდ დარბაზში ქართველმა და სომეხმა მოსწავლეებმა ერთად იცეკვეს, იმღერეს.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა მეორე დღე. ბავშვები ესტუმრნენ ერევნის 38-ე საშუალო სკოლას. მათზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა სკოლის კეთილმოწყობილმა სასწავლო სახელოსნომ. ბიოლოგიის კაბინეტში სომეხი თანატოლები მათ ხილითა და ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ. ახლად გაცნობილ სომეხ მეგობართა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ქართველ მოსწავლეთა ჯგუფმა სომხური პოპულარული სიმღერა „მარალ-მარალ“ წამოიწყო. წარმატება ხვდა წილად მეთერთმეტეკლასელების ლიანა ხოტოველის, თამაზ კაკაბაძის, მეგი ქავთარაძის და თამაზ შარაშიძის მიერ შესრულებულ ქართულ ცეკვებს. დასასრულ სტუმრებმა მასპინძლებს სურათებიანი ალბომი უსახსოვრეს.

რისი ნახვაც ვერ მოასწრეს თბილისელებმა, ის კინოეკრანზე ნახეს. ერევნის კინოსტუდიაში მოსწავლეებს უჩვენეს კინოქრონიკა „საბჭოთა სომხეთი“ და ახალი სომხური ფილმი „მდერის გული“.

საღამოს ერევნის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ქართველი მოსწავლეები დაესწრნენ ოპერა „ევგენი ონეგინს“.

ერევნის სოფალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების მუშაკთა კოლექტივმა ახალგაზრდა სტუმრებს გუთმართა გამოსამშვიდობებელი საღამო. ქართველი მოსწავლეები და პედაგოგები ძვირფასი წიგნებით დაასაჩუქრეს.

ზამთრის არდადეგების პერიოდში ახლადგაცნობილი სომეხი მეგობრები თბილისელ მოსწავლეებს ესტუმრებიან.

მ. ჟიჟინაძე.

გამოუქვეყნებელი ნერილების კვალდაკვალ

უღირსი მუშაკი სათანადოდ დაისაჯა

— ჭიათურის რაიკომპერატივის სოფელ მანდაეთის ფურნის გამგე ქ. ფოფხაძე სისტემატურად არ აცხობს პურს და ფქვილად ყიდის, ამავე დროს რაიკომპერატივიდან უკანონოდ იღებს პურის ცხობისათვის საწვავისა და მარილის ღირებულებას, — ატყობინებდნენ რედაქციას სოფლკორები ჭიათურის რაიონიდან.

ჭიათურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა, რომელსაც გადაეგზავნა მამხილებელი წერილი ზომების მისაღებად, გვაცნობა, რომ წერილი შემოწმებით დადასტურდა. სოფელ მანდაეთის ფურნის გამგე ქ. ფოფხაძე მოხსნილია სამუშაოდან. მასვე დაეკისრა უკანონოდ მიღებული საწვავისა და მარილის ღირებულების გადახდა.

საინტერესო და სასარგებლო წიგნი

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის შრომებში, სტატიებში, წერილებში, სიტყვებში, პირად მიწერ-მოწერაში არის 300 ადგილი, რომლებიც ეხება საქართველოს ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, რევოლუციურ მოძრაობას, ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში, სოციალისტური მშენებლობის საკითხებს და სხვ. მათ შესახებ მოგვითხრობს ვ. გ. ესაიაშვილის წიგნი „ვ. ი. ლენინი საქართველოს შესახებ“, რომელიც მიმდინარე წელს სახელგამმა გამოსცა.

წიგნის პირველ თავში ლაპარაკია ვ. ი. ლენინის ადრინდელ შრომებზე, სადაც მოცემულია რეფორმის შემდგომი ხანის საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის მარქსისტული ანალიზი. ვ. ი. ლენინმა პირველმა განაზოგადა საქართველოს ადგილი და მდგომარეობა ცარიზმის რუსეთში და ნათლად გვიჩვენა, რომ საქართველო, ისევე როგორც მთელი ამიერკავკასია, წარმოადგენდა თვითმპყრობელური რუსეთის კოლონიას. „ევროპის რუსეთის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი, კავკასია, შუა აზია, ციმბირი, — წერდა ლენინი, — რუსეთის კაპიტალიზმის ერთგვარ კოლონიებს წარმოადგენენ“ (თხზ., ტ. 4, გვ. 101).

ავტორი ჩერდება ლენინის გამოთქმაზე — „ერთგვარი კოლონიები“ და აღნიშნავს, რომ აქ ლენინი განიხილავს საქართველოს არა როგორც ტიპიურ კოლონიას, არამედ კოლონიას მთელი რიგი თავისებურებებით. ავტორი თავის აზრს ასაბუთებს შემდეგნაირად: ტიპიური კოლონიის განმსაზღვრელი ნიშანია ქვეყნის გადაქცევა მეტროპოლიის უბრალო „აგრარულ დანამატად“. მაგრამ ჩააყენა თუ ვერა რუსეთის კაპიტალიზმმა საქართველო სავსებით ასეთ მდგომარეობაში? ვერა, ვერ ჩააყენა. მართალია, რუსეთის ბურჟუაზია ცდილობდა არ განვითარებულიყო საქართველოში მრეწველობა, არ წარმოშობილიყო ეროვნული ბურჟუაზია, ამასთან ცარიზმი ყოველმხრივ ბოჭავდა ადგილობრივ მოსახლეობას, ეწეოდა ქართველი ხალხის რუსიფიკაციას, ახორციელებდა კოლონიზატორულ პოლიტიკას, მაგრამ „ქართველმა ხალხმა, ერთი მხრივ, იმის გამო, რომ თვითონ რუსეთის ბურჟუაზია არ იყო ძალიან ძლიერი, რის გამოც პირველ ხანებში საქართველოში მოქმედებდა უცხოეთის კაპიტალი, და მეორე მხრივ, თავისი საკმაოდ განვითარებული კულტურული დონის შედეგად, თავისი ძლიერი შინაგანი ძალების წყალობით შეძლო ასე თუ ისე განვითარება თავისი, ადგილობრივი დამოუკიდებელი მრეწველობა“.

ლენინი წერდა, რომ რუსეთი ეკონომიურად „იპყრობდა“ საქართველოს, მაგრამ ეს ეკონომიური დაპყრობა სავსებით აქამდეც არ დასრულებულაო. და სარეცენზიო წიგნის ავტორი დასძენს, რომ ეს დებულება სწორედ იმას ნიშნავს, რომ რუსეთის ბურჟუაზიამ ვერ შეძლო საქართველო ნამდვილ ტიპიურ კოლონიად გადაექცია, საქართველო რუსეთის მხოლოდ „ერთგვარ კოლონიას“ წარმოადგენდა.

ვ. ი. ლენინს ღრმად ჰქონდა შესწავლილი რეფორმის შემდეგდროინდელი საქართველოს ეკონომიური განვითარება, გლეხთა მდგომარეობა. იგი მკაცრად ამხილებდა ცარიზმის კოლონიზატორულ პოლიტიკას, აღნიშნავდა, რომ გლეხთა ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა — უმიწობა და უუფლებობა — იწვევდა მათში ცარიზმისადმი სიძულვილს. გლეხობა დგებოდა რევოლუციის გზაზე. ლენინს მოყავდა ამიერკავკასიის მეფისნაცვლის განცხადება იმის შესახებ, რომ გლეხთა ასეთი გაჭირვებული მდგომარეობა „...უეჭველია საკმაოდ თვალსაჩინო როლს ასრულებს სოფლის მოსახლეობის რევოლუციურ განწყობილებაში“ (თხზ., ტ. 18, გვ. 103).

შემდეგ თავებში ამხ. ესაიაშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში წარმოიშვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ზეგავლენით, და მართებულად ამბობს, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს, მის ერთერთ მოწინავე, მებრძოლ რაზმს წარმოადგენდაო.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულსა და 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ჩნდება პირველი მუშათა რევოლუციური წრეები. 1893 წლის დასაწყისში საქართველოში შეიქმნა მარქსისტული ორგანიზაცია „მესამე დასი“. სწორედ ამ პერიოდში, კერძოდ, 1894 წლიდან, იწყება ლენინის პირველი ურთიერთობა საქართველოსთან. ავტორს მოჰყავს მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ წრეებსა და ორგანიზაციებს კავშირი ჰქონდათ ლენინის მიერ შექმნილ პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირთან“.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობას უწევდნენ მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრაციებს, ბეჭდავდნენ საგაგიტაციო ლიტერატურას, პროკლამაციებსა თუ ბროშურებს. ადევნებდა რა თვალყურს საქართველოში არსებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობასა და რევოლუციურ გამოსვლებს, ლენინი აღნიშნავდა, რომ „სოციალ-დემოკრატიული იდეების თესლი გაბნეულია უკვე ყველგან მთელს რუსეთში; მუშათა ფერცლები — სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ეს პირველი ფორმა — უკვე ცნობილია ყველა რუსი მუშისათვის, პეტერბურგიდან კრასნოიარსკამდე და კავკასიიდან ურალამდე“ (თხზ., ტ. 4, გვ. 258).

ავტორი აღნიშნავს, რომ ეს არის ლენინის პირველი სტატია, რომელშიც იგი ეხება სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობას საქართველოში. 1900 წლიდან, მას შემდეგ, რაც ლენინის ინიციატივით გამოიცა გაზეთი „ისკრა“, კიდევ უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კავშირი ლენინთან. „ისკრა“ სისტემატურად აშუქებდა საქართველოს რევოლუციურ მოძრაობას. ცნობილია, რომ გაზეთის მარტო 34 ნომერში დაბეჭდილია 70-ზე მეტი სტატია და კორესპონდენცია საქართველოსა და ამიერკავკასიაზე.

1902 წელს „ისკრის“ რედაქციამ გამოსცა ბროშურა „თბილისის მუშათა მოძრაობის ისტორიიდან“. 1901-1903 წლებში რევოლუციურმა მოძრაობამ საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო.

პარტიის II ყრილობის შემდეგ ვ. ი. ლენინი დიდ დახმარებას უწევდა საქართველოს ბოლშევიკებს. ეხმაურებოდა მათს ყოველ მიმართვას. ლენინი თანამშრომლობდა გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში“. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა საქართველოს მუშებისა და გლეხების რევოლუციურ ბრძოლას რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. კავკასიაში გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ძალიან ძლიერია — წერდა იგი.

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ ლენინს არ გაუწყვეტია კავშირი საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან. ეს უკანასკნელნი სერიოზულ მუშაობას ეწეოდნენ პარტიის აღორძინების საქმეში. ავტორს მოჰყავს პრაღის კონფერენციის რეზოლუციიდან (რომელიც დაწერილია ლენინის მიერ) ადგილი, სადაც ლენინი თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციას იხსენიებს იმ ორგანიზაციათა რიცხვში, რომლებმაც „დიდი და წარმატებული თანასრბა გამოიჩინეს პარტიის აღორძინებისა და საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევის საქმეში“ (თხზ., ტ. 17, გვ. 553).

ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში. მას სპეციალური მიწერ-მოწერა ჰქონდა ამ ორგანიზაციებთან, ეცნობოდა ომის პერიოდის საქართველოს შესახებ არსებულ ლიტერატურას.

ამხ. ესაიაშვილი დაწვრილებით გვიჩვენებს იმ ხელმძღვანელ როლს, რომელსაც ასრულებდა ვ. ი. ლენინი ქართველი ბოლშევიკების ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში. ლენინი ამხილებდა ქართველი მენშევიკების გამცემლობას, რომლებმაც საქართველო იმპერიალისტური ქვეყნების სათარეშოდ გახადეს, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომის პლაცდარმად აქციეს. გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა რა მენშევიკების გამცემლურ საქმიანობას, ვ. ი. ლენინი იძლეოდა სათანადო რჩევა-დარიგებასა და მითითებებს რევოლუციური მუშაობის გასაჩაღებლად საქართველოში.

ავტორს მოჰყავს მრავალი საინტერესო ფაქტი, თუ რა უსაზღვრო აღფრთოვანებით შეხვდა ლენინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და რა ამოცანებს უსახავდა იგი ქართველ კომუნისტებს სოციალისტური მშენებლობის გასაშლელად.

1922 წლის 13 თებერვალს ლენინმა საქართველოს კომუნისტებს მიმართა სპეციალური წერილით, სადაც მიუთითებდა, რომ აბსოლუტურად აუცილებელია, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობამ მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს წითელი არმიის უეჭველი გაძლიერების შესახებ.

ლენინმა შეიმუშავა და განსაზღვრა საქართველოს კომუნისტების ტაქტიკა. ამ ტაქტიკაზე, მის თავისებურებებზე წერდა იგი წერილებში: „წერილი გ. კ. ორჯონიკიძეს“ (ეს წერილი სპეციალურად საქართველოს კომუნისტებისათვის იყო განკუთვნილი) და „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს“. პირველ წერილში ლენინი საქართველოს კომუნისტებს მიუთითებდა, რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ... თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას.

მეორე წერილში ლენინი წერდა, რომ „...ამიერკავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის **თავისებურება**, რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრმად კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას“ (თხზ., ტ. 32, გვ. 397).

ლენინმა პირველმა წამოაყენა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეა. ზედმიწევნით იცნობდა რა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას, ლენინს აუცილებლად მიაჩნდა ამ რესპუბლიკების გაერთიანება ერთ ფედერაციულ რესპუბლიკად. ლენინი თავის სიტყვებსა და მოხსენებებში თანმიმდევრულად ავითარებდა და ასაბუთებდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის მნიშვნელობას.

ვ. ი. ლენინი, ზედმიწევნით იცნობდა რა საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის საწარმოო ძალთა განვითარების მდგომარეობას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ელექტროფიკაციის განვითარებას. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საქართველოს სოფლის მეურნეობის საკითხებს. საქართველოში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების აუცილებელ პირობად მას მიაჩნდა რწყვის სისტემის მოგვარება.

ვ. ესაიაშვილის წიგნი—„ვ. ი. ლენინი საქართველოს შესახებ“ სასარგებლო ნაშრომია. იგი დიდ დახმარებას გაუწევს მკითხველებს, პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს, ჩვენს ინტელიგენციას.

ლ. მდივანი.

ვ. გ. ესაიაშვილი. „ვ. ი. ლენინი საქართველოს შესახებ“. სახელგამი, 1956 წ.

პროდუქციის წარმოებაზე შრომადღეებისა და საშუალებების დანახარჯების აღრიცხვა კოლმეურნეობებში

★

ბევრი კოლმეურნეობის გამგეობები მოგვმართავენ შეკითხვებით იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყონ წარმოების დანახარჯების აღრიცხვა და როგორ იანგარიშონ პროდუქციის ერთეულზე შრომადღეებისა და ფულად-მატერიალური საშუალებების ხარჯვა საზოგადოებრივი მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ქვემოთ ქვეყნდება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საორგანიზაციო-საკოლმეურნეო საქმეთა სამმართველოს კონსულტაცია ამ საკითხზე.

★ ★

პროდუქციის წარმოებაზე შრომადღეებისა და საშუალებების დანახარჯების აღრიცხვის ერთიანი ფორმა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ამოცანად დაგვისახა უზრუნველვყოთ მეექვსე ხუთწლედში ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოსავლის მკვეთრად გადიდება შრომისა და საშუალებების მინიმალური დანახარჯებით; დაახლოებით ერთიორად ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებში.

წარმოებაზე შრომადღეებისა და საშუალებების ხარჯვისადმი მუდმივი კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელია კოლმეურნეობებმა შრომადღეებისა და ფულად-მატერიალური საშუალებების დანახარჯების აღრიცხვა აწარმოონ წლის განმავლობაში კულტურების, პირუტყვის სახეების და მეურნეობის სხვა დარგების მიხედვით. ეს საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ დანახარჯების ოდენობის შედარება წლების, ცალკეული ბრიგადებისა და კოლმეურნეობების მიხედვით, გამოვნახოთ გამოუყენებელი რეზერვები და შევამციროთ პროდუქციის ერთეულზე შრომისა და საშუალებების დანახარჯები.

კოლმეურნეობებში დღემდე არსებული აღრიცხვის წესი არ შეესაბამებოდა ამ ამოცანას.

პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების აღრიცხვა

აღრიცხვის დამტკიცებული ფორმების შესაბამისად რეკომენდებულია კოლმეურნეობებმა 1957 წლიდან აწარმოონ შრომადღეებისა და ფულად-მატერიალური საშუალებების დანახარჯების აღრიცხვა მეურნეობის შემდეგი დარგების მიხედვით:

მემცენარეობა (ანგარიში № 13, სუბანგარიში 1). — შემოდგომის მარცვლეული, გაზაფხულის მარცვლეული (გარდა სიმინდისა), სიმინდი სამარცვლედ (სრული და რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფისა), ტექნიკური კულტურები (თვითეული ცალცალკე), კარტოფილი, ღია გრუნტის ბოსტნეული, დახურული გრუნტის ბოსტნეული, სათესლე ბოსტნეული, ბაღჩის სასურსათო კულტურები, საკვები ძირხვენები და საკვები ბაღჩეული, სასილოსე კულტურები და ნათესები მწვანე საკვებად, ნათესი ბალახები (ერთწლიანი და მრავალწლიანი), ბუნებრივი სათიბები, ბაღები (მსხმოიარე), საკენკრეები, ვენახები.

დანახარჯები მომავალი წლის მოსავლისათვის (ანგარიში № 13, სუბანგარიში 5); ა) შემოდგომის კულტურებზე; ბ) გაზაფხულის კულტურებზე (დანახარჯები განაწილდება კულტურების მიხედვით შემდგომ წელს საგაზაფხულო თესვის დამთავრების შემდეგ); გ) მრავალწლიან ბალახებზე.

მეცხოველეობა (ანგარიში № 13, სუბანგარიში 2). — მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი: ა) ძროხები და ბუღამწარმოებლები; ბ) მოზარდეული, ბაგური კვებით და ძოვებით გასასუქებელი პირუტყვი. ღორები, ცხვრები, ფრინველი, ფუტკარი.

დამხმარე საწარმოები, რომლებიც ახდენენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებას, ამზადებენ საშენ მასალებს, ტარას, ინვენტარსა და სხვა ნაკეთობებს, აგრეთვე სარეწები (თვითეული საწარმოსა და სარეწის მიხედვით ცალცალკე). დამხმარე საწარმოთა რიცხვს ეკუთვნიან კულტურულ-საყოფაცხოვრებო მნიშვნელობის საწარმოებიც (სტაციონარული სასადილოები, აბანოები, სამრეცხაოები, საპარიკმახეროები და ა. შ.), რომელთა მუშაობა ეწყობა თვითანაზღაურების საფუძვლებზე. დამხმარე საწარმოებში გაწეული დანახარჯების აღრიცხვა უნდა ვაწარმოოთ ანგარიშით № 11, სუბანგარიშით 1.

კაპიტალდაბანდებანი და კაპიტალური რემონტი (მშენებლობისა და რემონტის თვითეულ ობიექტზე ცალცალკე). დანახარჯების აღრიცხვა უნდა ხდებოდეს ანგარიშით № 12.

მეურნეობის დარგების აღნიშნული ჩამოთვლა წარმოებაზე პირდაპირი დანახარჯების აღრიცხვისათვის სანიმუშოა. კოლმეურნეობის გამგეობას შეუძლია იგი გააფართოოს კონკრეტული პირობების შესაბამისად. კულტურების ცალკეული ჯგუფებიდან შეიძლება გამოიყოს ისეთი კულტურები, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ მოცემული კოლმეურნეობისათვის შრომის დანახარჯების, საქონლიანობისა და ფულადი შემოსავლის მიხედვით. მიზანშეწონილია დანახარჯები მეღორეობაზე გაიყოს ორ ქვეჯგუფად: დედაღორები, კერატები და გოჭები ორ თვემდე და ცალკე — გასასუქებელი ღორების სულადობა. კოლმეურნეობებში, სადაც განვითარებულია მეფრინველეობა, მიზანშეწონილია დანახარჯები დაიყოს ფრინველის სახეების მიხედვით.

საკუთარი წარმოების პროდუქციის დანახარჯები (თესლი, საკვები, ნატურანაზღაურება მტს-ის მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის და ა. შ.) უნდა ადირიცხოს წლიურ ანგარიშში რაოდენობით და ფულადი შეფასებით სახელმწიფო შესყიდვით ფასებში (სეზონური დანამატის გარეშე), ხოლო იმ პროდუქციის დანახარჯები, რომელიც სახელმწიფოს ბარდება კონტრაქტაციით, — კონტრაქტაციის ფასებში (პრემია-წანამატის გარეშე). საკუთარი გამომუშავების მასალების დანახარჯები აღირიცხება ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციების ფასებში.

საწარმოო ხარჯების აღრიცხვის გაუმჯობესების მიზნით კოლმეურნეობებმა აუცილებლად უნდა მოაწესრიგონ პირველადი დოკუმენტაცია ისე, რომ დოკუმენტების შედგენისას გამოყენებული იყოს ყველა შესაძლებლობა, რათა ზუსტად გაირკვეს და მითითებულ იქნას, კონკრეტულად რომელ კულტურაზე, რომელ ფერმაზე, რომელ დამხმარე საწარმოზე, მშენებლობის რომელ ობიექტზე ხდება შრომადღეების დარიცხვა ან მასალებისა და ფულადი სახსრების ხარჯვა.

მაგრამ ყველა საწარმოო დანახარჯს როდი ეძლევა პირდაპირი დანიშნულება. შრომადღეებისა და საშუალებების დანახარჯების ნაწილი უნდა აღირიცხოს პირდაპირი ხარჯებისაგან განცალკევებით როგორც საერთო საწარმოო მნიშვნელობის დანახარჯები ან დანახარჯები მომსახურე დარგებში, მაგრამ წლის ბოლოს ისინი დადგენილი წესით უნდა განაწილდეს კულტურების, პირუტყვის სახეებისა და საწარმოების მიხედვით.

საერთო-საწარმოო დანახარჯების და მომსახურე დარგებში გაწეული დანახარჯების სანიმუშო ნუსხა:

საერთო-საწარმოო დანახარჯები (ანგარიში № 13, სუბანგარიში 3). — ა) საერთო-საბრიგადო დანახარჯები. — შრომადღეების დარიცხვა მემცენარეობის ბრიგადების ბრიგადირებისა და აღმრიცხველებისათვის, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებისა და აღმრიცხველ-გამწყობებისათვის, დარაჯებისათვის; შრომადღეების დანახარჯები საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციაზე და სატრაქტორო ბრიგადის მომსახურებაზე; ბრიგადის ძალებით საბრიგადო ქონების მიმდინარე რემონტზე გაწეული ხარჯები; წვრილი ინვენტარის ხარჯვა ბრიგადებში. ბ) საერთო-საფერმო დანახარჯები. — შრომადღეების დარიცხვა ფერმების გამგეებისა და აღმრიცხველებისათვის; საკვების გადამუშავება; სათბობის ხარჯვა და ა. შ. გ) დარგობრივი ხარჯები. — მემცენარეობაში: აგრონომის შენახვა; მირაბებისათვის შრომადღეების დარიცხვა, ქიმ-ლაბორატორიების შენახანი ხარჯები; მეცხოველეობაში: ზოოტექნიკოსის და ვეტერინარი მუშაკების შენახვა; შრომადღეების დარიცხვა მეფუტაჟისათვის.

დანახარჯები მომსახურე დარგებში (ანგარიში № 13, სუბანგარიში 4). — ა) მუშა პირუტყვის შენახვა: ა) მუშა ცხენები, ბ) მოზარდი ცხენები, გ) მუშა ხარები. — შრომადღეების დარიცხვა მუშა პირუტყვის მოვლისათვის, მისი ძოვებისათვის და საკვების მოზიდვისათვის; საკვების დანახარჯები; საჯინიბოების, ბოსლების და სატრანსპორტო ინვენტარის მიმდინარე რემონტის ხარჯები; წვრილი ინვენტარის ხარჯვა. ბ) სატვირთო ავტოტრანსპორტის შენახვა. — შრომადღეების დარიცხვა მანქანების მძღოლებისათვის; საწვავი და საცხები მასალების ხარჯვა, ავტომანქანებისა და გარაჟის მიმდინარე რემონტის ხარჯები; სათადარიგო ნაწილების, წვრილი ინვენტარის ხარჯვა; გ) სარემონტო სახელოსნოები და ელექტროსადგური. — შრომადღეების დარიცხვა შესრულებული სამუშაოებისათვის; ნედლეულის, სათბობისა და სხვა მასალების ხარჯვა; სათავსებისა და მოწყობილობის მიმდინარე რემონტი; ინსტრუმენტისა და წვრილი ინვენტარის ხარჯვა.

№ 15 ანგარიშით ცალკე აღირიცხება **საერთო-სამეურნეო და სამმართველო ხარჯები.** საერთო-სამეურნეო ხარჯებს ეკუთვნის: შრომადღეების დარიცხვა სასაწყობო სათავსთა მეკუჭნავეებისა და დარაჯებისათვის; ამ სათავსთა მიმდინარე რემონტის ხარჯები; ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციის ხარჯები; კოლმეურნეობის ტერიტორიაზე არსებული გზებისა და ხიდების შესანახი ხარჯები; პროდუქტების ბუნებრივი დანაკლისი შენახვისას; პროცენტები სესხებზე, საურავები, ჯარიმები და ა. შ.

სამმართველო ხარჯებს ეკუთვნის: შრომადღეების დარიცხვა კოლმეურნეობის თავმჯდომარისათვის, თავმჯდომარის მოადგილისათვის, ბუხჰალტრისა და სამმართველო პერსონალის სხვა პირებისათვის; შრომადღეების დარიცხვა სარევიზიო კომისიისათვის რევიზიის წარმოების დროის განმავლობაში; კანტორისა და კოლმეურნეობის გამგეობაზე მიმაგრებული სატრანსპორტო საშუალებების შესანახი ხარჯები; საკანცელარიო და ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯები; დაქირავებული ბუხჰალტრის (მოანგარიშის) შრომის ანაზღაურება; მივლინების ხარჯების ანაზღაურება.

მეურნეობის დარგების მიხედვით შრომადღეების დანახარჯების, ფულადი და ნატურალური ხარჯების რეკომენდებული ცალცალკე აღრიცხვა, აგრეთვე პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების ცალცალკე აღრიცხვა აუცილებელს ხდის ანალიზური ანგარიშების რიცხვის ერთგვარ გადიდებას. ზედმეტი ანგარიშების გახსნის თავიდან ასაცილებლად კოლმეურნეობათა ბუხჰალტრებმა გულდასმით უნდა მოიფიქრონ დანახარჯების ანალიზური აღრიცხვის წარმოების წესი და ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნისათვის საბუხჰალტრო აღრიცხვის დავთრების სვეტებიანი ფორმები.

მემცენარეობაში **შრომადღეების დანახარჯების აღრიცხვისათვის** რეკომენდებულია ანალიზური ანგარიშები გაიხსნას თვითეულ კულტურაზე (ან კულტურების ჯგუფზე) მთლიანად კოლმეურნეობის მიხედვით, ხოლო ანგარიშის ცალკეულ სვეტებში წარმოებდეს შრომადღეების დანახარჯების აღრიცხვა თვითეული ბრიგადის მიხედვით.

შრომადღეების საერთო-საბრიგადო დანახარჯის აღრიცხვისათვის იხსნება ერთი ანალიზური ანგარიში, რომლის სვეტებში დახარჯული შრომადღეები თვითეული ბრიგადის მიხედვით ცალცალკე აღირიცხება. ამავე ანგარიშით თავისუფალ სვეტში აღირიცხება შრომადღეების დარგობრივი დანახარჯები მემცენარეობაში.

იმ კოლმეურნეობებში, სადაც მიზანშეწონილად მიიჩნევენ დაჯგუფონ შრომადღეების დანახარჯები სამუშაოთა გარკვეული დამთავრებული წრის მიხედვით (მაგალითად, თესვისათვის მიწამზადება, თესვის სამუშაოები, ნათესების მოვლა, მოსავლის აღება), თვითეული პერიოდის დამთავრებისას ჯამდება შესაბამისი შედეგები.

რგოლებისათვის მიმაგრებულ კულტურებზე შრომადღეების დანახარჯების აღრიცხვისათვის ანგარიშები ამ კულტურებზე იხსნება ბრიგადების მიხედვით; ანგარიშის სვეტებში დახარჯული შრომადღეები აღირიცხება თვითეული რგოლის მიხედვით ცალცალკე.

იმ მიზნით, რომ შემცირებულ იქნას ანალიზური ანგარიშების რიცხვი მემცენარეობაში შრომადღეების დანახარჯების აღსარიცხავად, შეიძლება თვითეულ ბრიგადაზე გაიხსნას ერთი ანალიზური ანგარიში, ხოლო ცალკეულ სვეტებში აღირიცხოს შრომადღეების დანახარჯები თვითეულ კულტურაზე ან კულტურების ჯგუფზე; იქვე ცალკე სვეტში შეიძლება აღირიცხოს შრომადღეების საერთო-საბრიგადო დანახარჯები.

ცალცალკე წარმოებს იმ შრომადღეების დანახარჯების აღრიცხვა, რომლებიც დაერიცხათ კოლმეურნეებს და მტს-ის სატრაქტორო ბრიგადებს მუშებს.

მეცხოველეობაში შრომადღეების დანახარჯების აღსარიცხავად იხსნება ერთი ანგარიში მთლიანად მეურნეობის ამ დარგზე, ხოლო ამ ანგარიშის სვეტებში აღირიცხება შრომადღეების დანახარჯები ფერმების მიხედვით, ამასთან მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში შრომადღეები აღირიცხება ცალცალკე ძროხებისა და სახორცე პირუტყვის ჯგუფების მიხედვით. იმავე ანგარიშზე გამოიყოფა სვეტი, სადაც აღირიცხება შრომის ყველა დარგობრივი დანახარჯები მეცხოველეობაში.

მსხვილი ფერმების არსებობისას რეკომენდებულია ანალიზური ანგარიშები გაიხსნას თვითეულ ფერმაზე, ხოლო ანგარიშის სვეტებში აღირიცხოს შრომადღეების დანახარჯები იმ ბრიგადების მიხედვით, რომლებიც მომსახურებას უწევენ პირუტყვის ცალკეულ ჯგუფებს. ასეთ შემთხვევებში მეცხოველეობაში დარგობრივი დანახარჯების აღრიცხვისათვის იხსნება დამოუკიდებელი ანგარიში.

ყველა დამხმარე საწარმოსათვის, რომლებშიც მუშავდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ან მზადდება სხვადასხვა მასალები და სამეურნეო ინვენტარი, საკმარისია გაიხსნას ერთი ანალიზური ანგარიში, ხოლო ანგარიშის სვეტებში აღირიცხოს შრომადღეების დანახარჯები თვითეული საწარმოს ან სარეწის მიხედვით ცალცალკე.

იმ შრომადღეების აღრიცხვისათვის, რომლებიც იხარჯება მშენებლობაზე, ბაღების და მინდორსაცავი ტყის ნარგავების გაშენებასა და მოვლაზე, აგრეთვე კაპიტალურ რემონტზე, იხსნება ერთი ანალიზური ანგარიში, ხოლო ანგარიშის სვეტებში აღირიცხება წარმოებს მშენებლობისა და რემონტის თვითეული ობიექტის მიხედვით.

დავთრის განსაკუთრებულ განყოფილებაში აღირიცხება შრომადღეების ხარჯვა მეურნეობის მომსახურე დარგებში (მუშა პირუტყვი, ავტოტრანსპორტი; სარემონტო სახელოსნოები, ელექტროსადგურები).

მუშა პირუტყვის შენახვისათვის შრომადღეების დანახარჯების აღსარიცხავად რეკომენდებულია გაიხსნას ანალიზური ანგარიშები მუშა პირუტყვის სახეების (მუშა ცხენები, ხარები, ხარკამეჩები და ა. შ.) და ამ პირუტყვის ჯგუფების მიხედვით, რომლებიც მიმაგრებულია ბრიგადებზე, ფერმებზე და მეურნეობის სხვა საწარმოო ქვეგანაყოფებზე. რეკომენდებულია მუშა პირუტყვის მოზარდეულის მოვლისათვის შრომადღეების დანახარჯების აღრიცხვა გამოიყოს განსაკუთრებულ ანალიზურ ანგარიშად.

იმ მიზნით, რომ მუდმივი კონტროლი გავუწიოთ ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებას, მუშა პირუტყვის მოვლაზე შრომადღეების ხარჯვის აღრიცხვასთან ერთად აუცილებელია აღირიცხოს გამწევი ძალის მიერ გამომუშავებული ცხენ-დღეები (ხარ-დღეები). ამ ანგარიშის სვეტებში აღირიცხება ცხენ-დღეები (ხარ-დღეები) მეურნეობის იმ დარგების მიხედვით, რომლებისთვისაც შესრულებული იყო სამუშაოები (მემინდვრეობა, მებოსტნეობა, მებაღეობა, ცალკეული ფერმები, დამხმარე საწარმოები, მშენებლობის ობიექტები).

კოლმეურნეობის სურვილის მიხედვით ცხენ-დღეების (ხარ-დღეების) აღრიცხვა შეიძლება ვაწარმოოთ ცალკეული კულტურების (ან კულტურათა ჯგუფების) მიხედვითაც. ასეთი აღრიცხვა საშუალებას მოგვცემს წლის დამთავრების შემდეგ უფრო სწორად გავანაწილოთ კულტურებისა და დარგების მიხედვით მუშა პირუტყვის შენახვასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი.

სატვირთო ავტოტრანსპორტის შენახვასა და მომსახურებაზე შრომადღეების ხარჯვა აღირიცხება ცალკე ანალიზურ ანგარიშზე, ამასთან იმ მიზნით, რომ კონტროლი გაეწიოს ავტოტრანსპორტის გამოყენებას და ფუჭი გარბენის შემცირებას, შრომადღეების აღრიცხვასთან ერთად იწერება ავტომანქანების მიერ გავლილი კილომეტრების რაოდენობა, მათ შორის ტვირთით, და გამომუშავება ტონა-კილომეტრობით მეურნეობის ძირითადი დარგების მიხედვით (მემინდვრეობა, მებოსტნეობა, მებაღეობა, ცალკეული ფერმები, საწარმოები, მშენებლობის ობიექტები).

გამომუშავება ტონა-კილომეტრობით შეიძლება აღირიცხოს აგრეთვე კულტურების ან კულტურათა ჯგუფების მიხედვით, რაც საშუალებას მოგვცემს წლის ბოლოს უფრო სწორად გავანაწილოთ კულტურების მიხედვით ავტოტრანსპორტის შენახვასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი.

შრომადღეების დანახარჯების აღრიცხვისათვის ცალკეული ანალიზური ანგარიშები იხსნება თვითეულ სარემონტო სახელოსნოზე, ამასთან რეკომენდებულია ანგარიშის თავისუფალ სვეტებში აღირიცხოს დახარჯული შრომადღეები იმ ბრიგადების, ფერმების და დამხმარე საწარმოების მიხედვით, რომლებისთვისაც სახელოსნო შეასრულებდა სამუშაოებს.

„შესრულებული სამუშაოების და შრომადღეების დანახარჯების აღრიცხვის დავთრის“ განსაკუთრებული განყოფილება გამოიყოფა საერთო-სამეურნეო ხარჯების აღრიცხვისათვის.

საერთო-სამეურნეო ხარჯებისაგან გამოყოფით უნდა აღირიცხოს ის შრომადღეები, რომლებიც იხარჯება კულტურულ და საყოფაცხოვრებო საჭიროებებზე (საბავშვო ბაგებზე, საბავშვო ბაღზე, ბიბლიოთეკაზე და სხვა კულტურულ ღონისძიებებზე, რომლებიც კოლმეურნეობის ხარჯზე ხორციელდება), აგრეთვე კოლმეურნეთათვის დახმარების აღმოჩენაზე (შრომადღეების დარიცხვა ქალებისათვის ორსულობისა და მშობიაროობის გამო, ღრმა მოხუცებისა და შრომის ინვალიდებისათვის საპენსიო უზრუნველყოფის წესით, სასწავლად მივლინებული კოლმეურნეებისათვის და ა. შ.).

კოლმეურნეობის **ნატურალური დანახარჯები** უნდა აღირიცხოს ანალიზური ანგარიშებით ფულადი ხარჯებისაგან გამოყოფით.

ნატურალური ხარჯების აღრიცხვის წესი ექვემდებარება ორი ამოცანის გადაჭრას: გამოვლინებულ იქნას დანახარჯები კონკრეტულ კულტურაზე ან მეურნეობის დარგზე და დაჯგუფებულ იქნას დანახარჯები პროდუქტებისა და მასალების სახეების მიხედვით, რაც საჭიროა კოლმეურნეობის ნატურალური შემოსავლის სწორად განაწილებისათვის.

რეკომენდებულია ნატურალური დანახარჯების აღრიცხვისათვის შემდეგნაირად ვაწარმოოთ ანალიზური ანგარიშები: თესლის ხარჯვაზე — ანგარიშები იხსნება თვითეულ კულტურაზე მთლიანად კოლმეურნეობისათვის, ხოლო ანგარიშის სვეტებში აღირიცხება თესლის ხარჯვა ბრიგადების მიხედვით; საკვების ხარჯვაზე ანგარიშები იხსნება თვითეულ ფერმაზე ან პირუტყვის ჯგუფზე, ხოლო სვეტებში აღირიცხება მიცემული საკვების სახეები.

მტს-ის სამუშაოთა ნატურანაზღაურება, ისევე როგორც ფულადი ანაზღაურება, წარმოადგენს პირდაპირ ხარჯს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაზე. მაგრამ მისი დარიცხვის თავისებურებებისა და იმის გამო, რომ ერთი პროდუქტი ხშირად მეორით იცვლება, ნატურანაზღაურება ბევრ შემთხვევაში არ შეიძლება ერთბაშად მიეკუთვნოს ხარჯებს ამა თუ იმ კულტურის წარმოებაზე. ამიტომ რეკომენდებულია კოლმეურნეობებმა ნატურანაზღაურება წლის განმავლობაში უფრო მარტივი წესით აღრიცხონ.

შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურების შესახებ მტს-ისაგან მიღებული ანგარიშები ჩაიწერება განსაკუთრებულ რეესტრში, სადაც აღინიშნება — რა და რა კულტურაზე (ან კულტურათა ჯგუფზე) გაწეული მუშაობისათვის არის დარიცხული ნატურანაზღაურება, რა პროდუქტებით და რა რაოდენობით უნდა იქნას შეტანილი. ნატურანაზღაურების ფაქტიური ჩაბარება რაოდენობრივი და ფულადი გამოხატულებით აღირიცხება ანგარიშით № 13 ერთ ანალიზურ ანგარიშზე, რომლის სვეტებში ჩაბარებული პროდუქცია ჩაიწერება მისი სახეების მიხედვით. წლის ბოლომდე ჩაუბარებელი ნატურანაზღაურება დარიცხება ანგარიშებით № 13 (დანახარჯები) და № 7 (კოლმეურნეობის დავალიანება).

წლის ბოლოს მთელი ფაქტიურად ჩაბარებული და ჩასაბარებელი ნატურანაზღაურება ფულადი გამოხატულებით მიეკუთვნება შესაბამისი კულტურების დანახარჯებს გაანგარიშების წესით. თუ ნატურანაზღაურება დარიცხული იყო სამუშაოებისათვის კულტურების ჯგუფზე (მაგალითად, ყველა მარცვლეულზე), ფაქტიურად ჩაბარებული და ჩასაბარებელი ნატურანაზღაურების ფულადი შეფასება ნაწილდება ცალკეული კულტურების მიხედვით რბილ ხვნაზე გადაყვანით ჰექტარობით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის პროპორციულად.

ნატურალური დაკავება ავტოტრანსპორტით სარგებლობისათვის აღირიცხება ცალკეულ ანალიზურ ანგარიშზე და მიეკუთვნება პირდაპირ ნატურალურ დანახარჯებს იმ კულტურებზე, რომელთა პროდუქცია გაზიდული იყო ანაზღაურების ამ პირობებით.

ნატურალური საზღაური დამამზადებელ პუნქტებს იმ მარცვლის გაწმენდისა და გაშრობისათვის, რომელიც სახელმწიფოს ჩაბარდა დაწესებულ კონდიციაზე დაბალი ხარისხით, აგრეთვე აღირიცხება ცალკე ანალიზურ ანგარიშზე და მიეკუთვნება იმავე კულტურებზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს.

საწარმოო დანახარჯებში არ შედის მეურნეობაში გამოუყენებელი ნარჩენები და შეშრობა, რაც აღრიცხულია აქტებით მოსავლის აღების პერიოდში. ასევე პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების გაანგარიშებისას ეს ნარჩენები საერთო შემოსავლიდან გამოირიცხება.

საკუთარი წარმოების სამეურნეო მასალებისა და წვრილი ინვენტარის დანახარჯები აღირიცხება ცალცალკე ბრიგადების, ფერმების, საწარმოების, მეურნეობის მომსახურე დარგების მიხედვით და საერთო სამეურნეო საჭიროებებზე, ხოლო საკუთარი წარმოების საშენი მასალების დანახარჯები — მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის ობიექტების მიხედვით.

ფულადი დანახარჯები და ნაყიდი მასალების დანახარჯები აღირიცხება ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას კონტროლი ამ ხარჯებისადმი ბრიგადებში კულტურების მიხედვით, მეცხოველეობაში — პირუტყვის სახეების მიხედვით, დამხმარე საწარმოებში — ცალკე თვითეული საწარმოს მიხედვით. ფულადი დანახარჯები ისეთ საწარმოო საჭიროებებზე, როგორიც არის მტს-ის სამუშაოთა ანაზღაურება, მინერალური სასუქის გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლაზე გაწეული ხარჯები, ნაყიდი საკვების ხარჯვა, ხარჯები პირუტყვის მკურნალობაზე და ა. შ., უნდა აღირიცხოს როგორც პირდაპირი დანახარჯები.

მემცენარეობაზე ამ დანახარჯების აღსარიცხავად ანგარიშები იხსნება თვითეული ბრიგადის მიხედვით, ხოლო ამ ანგარიშების სვეტებში აღრიცხვა წარმოებს კულტურების ან კულტურათა ჯგუფების მიხედვით. მეცხოველეობაზე პირდაპირი ფულადი დანახარჯების აღრიცხვისათვის იხსნება ერთი ანგარიში, რომლის სვეტებში აღირიცხება ხარჯები პირუტყვის თვითეული სახის (ან ჯგუფის) მიხედვით ცალცალკე.

ნაყიდი წვრილი ინვენტარის, ტარის დანახარჯებს, ნაგებობების, მანქანებისა და მოწყობილობის მიმდინარე რემონტის ხარჯებს და ა. შ., როგორც წესი, არა აქვს პირდაპირი დანიშნულება. ამიტომ ისინი უნდა აღირიცხოს არაპირდაპირი დანახარჯების (საერთო-საბრიგადო და სხვ.) შემადგენლობაში. მაგრამ თუ ასეთი დანახარჯები დაკავშირებულია კონკრეტული კულტურების მომსახურებასთან (მაგალითად, სელის სათელის მიმდინარე რემონტი), მაშინ მიმდინარე რემონტზე წვრილი ინვენტარის დანახარჯები აღირიცხება როგორც პირდაპირი ხარჯები.

ფულისა და ნაყიდი მასალებით არაპირდაპირი დანახარჯების აღრიცხვისათვის იხსნება შემდეგი ანალიზური ანგარიშები:

სუბანგარიშით 13/3 — ა) ანგარიში საერთო-საწარმოო დანახარჯებისა მეცენარეობაზე. ამ ანგარიშის სვეტებში დანახარჯები აღირიცხება ცალკე თვითეული ბრიგადის მიხედვით; იქვე განცალკევებით აღირიცხება დარგობრივი ხარჯები მთლიანად მემცენარეობაზე; ბ) ანგარიში საერთო-საფერმო დანახარჯებისა ანგარიშის სვეტებში აღირიცხება დანახარჯები პირუტყვის სახეების მიხედვით და განცალკევებით წარმოებს მთლიანად მეცხოველეობაზე დარგობრივი ხარჯების აღრიცხვა;

სუბანგარიშით 13/4 — ანგარიში დანახარჯებისა მომსახურე დარგებში. ანგარიშის სვეტებში აღრიცხვა ხდება მუშა პირუტყვის ჯგუფების მიხედვით, ავტოტრანსპორტზე, თვითეულ სარემონტო სახელოსნოზე და ა. შ.;

ანგარიშით 15 — ანგარიში საერთო-სამეურნეო ხარჯებისა საერთო-სამეურნეო და სამმართველო ხარჯების ანგარიშის სვეტებში ცალცალკე აღრიცხვით.

საწარმოო საჭიროებებზე დანახარჯების სახეების მიხედვით ფულადი ხარჯებისადმი თვალყურის სადევნებლად რეკომენდებულია კოლმეურნეობებმა საბუხჰალტრო აღრიცხვასთან ერთად აწარმოონ ხარჯების ოპერატიული აღრიცხვა 1957 წლისათვის მიღებული ხარჯთაღრიცხვის მუხლების მიხედვით.

არაპირდაპირი დანახარჯების განაწილება

პროდუქციის თვითეული სახის წარმოებაზე შრომადღეებისა და საშუალებების დანახარჯების გასაზღვრისათვის წლის განმავლობაში აღრიცხული არაპირდაპირი დანახარჯები წლის ბოლოს გაანგარიშების წესით ნაწილდება კულტურებისა და მეურნეობის დარგების მიხედვით. ამრიგად, წლის განმავლობაში დანახარჯების და ხარჯების აღრიცხვის ზემოთ ნაჩვენები წესი მიზნად ისახავს მხოლოდ დანახარჯების სისტემატიზაციას და ამით წლის ბოლოს გაანგარიშების გაადვილებას.

შრომადღეებისა და ფულად-მატერიალური საშუალებების არაპირდაპირი დანახარჯები ნაწილდება ცალცალკე: შრომის დანახარჯები — შრომადღეებით, ფულადი სახსრების და ნაყიდი მასალების დანახარჯები — მანეთობით, ხოლო საკუთარი მეურნეობის პროდუქციის დანახარჯები — ფულადი შეფასებით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული.

კულტურებისა და მეურნეობის სხვა დარგების მიხედვით აღნიშნული დანახარჯების გასაანგარიშებლად რეკომენდებულია შემდეგი წესი.

საერთო-საბრიგადო დანახარჯები (ცალკე თვითეული ბრიგადისა) ნაწილდება მოცემული ბრიგადისათვის მიმაგრებული ცალკეული კულტურების მიხედვით ამ კულტურებზე შრომადღეების პირდაპირი დანახარჯების პროპორციულად.

საერთო-საფერმო დანახარჯები მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე ნაწილდება პირუტყვის ორი ჯგუფის მიხედვით: ძროხები და ბუღამწარმოებლები (მერძეული პირუტყვი); ყველა ასაკის მოზარდეული, ბაგური კვებით და ძოვებით გასასუქებლად დაყენებული პირუტყვი (სახორცე პირუტყვი). განაწილება ხდება ამ ჯგუფების მიხედვით შრომის პირდაპირი დანახარჯების პროპორციულად. პირუტყვისა და ფრინველის დანარჩენი ფერმების მიხედვით საერთო-საფერმო დანახარჯები არ ნაწილდება პირუტყვის ჯგუფების მიხედვით და მთლიანად მიეკუთვნება შესაბამის ფერმებს.

დარგობრივი დანახარჯები, რომლებიც მემცენარეობას მიეკუთვნება, ნაწილდება კულტურების მიხედვით, ხოლო დანახარჯები მეცხოველეობაში — ფერმების მიხედვით შესაბამისად კულტურებზე ან ფერმებზე შრომის პირდაპირი დანახარჯების პროპორციულად. მეცხოველეობის დარგობრივი ხარჯების განაწილებისას მათი შესაბამისი წილი მიეკუთვნება მუშა პირუტყვსაც.

მუშა პირუტყვის შენახვასთან დაკავშირებული დანახარჯების განაწილება ხდება იმ ცხენ-დღეების (ხარ-დღეების) რიცხვის პროპორციულად, რომლებიც გამომუშავებულია მეურნეობის ცალკეულ დარგებში. მემინდვრეობაზე მიკუთვნებული დანახარჯები ნაწილდება კულტურების მიხედვით ამ კულტურებზე შრომადღეების პირდაპირი დანახარჯების პროპორციულად. კოლმეურნეობებში, სადაც ორგანიზებულია კულტურების მიხედვით ცხენ-დღეების (ხარ-დღეების) გამომუშავების აღრიცხვა, დანახარჯები მუშა პირუტყვის შენახვაზე ნაწილდება ცალკეულ კულტურებზე გამომუშავებული ცხენ-დღეების პროპორციულად. მუშა პირუტყვის მოზარდეულის შენახვაზე დახარჯული შრომისა და საშუალებების დანახარჯები მეურნეობის დარგების მიხედვით არ უნდა განაწილდეს.

სატვირთო ავტოტრანსპორტის შენახვაზე შრომისა და საშუალებათა დანახარჯები ნაწილდება მეურნეობის დარგების მიხედვით (ხოლო სათანადო აღრიცხვის არსებობისას — კულტურების ან კულტურათა ჯგუფების მიხედვით) იმ ტონა-კილომეტრების პროპორციულად, რომლებიც გამომუშავებული იყო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში ან კულტურაზე.

სარემონტო სახელოსნოებზე შრომადღეებისა და საშუალებების დანახარჯები ნაწილდება იმ ბრიგადების, ფერმებისა და დამხმარე საწარმოების

(დასასრული მე-4 გვერდზე)

პროდუქციის წარმოებაზე შრომადღეებისა და საშუალებების დანახარჯების აღრიცხვა კოლმეურნეობებში

(დასასრული)

მიხედვით, რომლებისთვისაც ამ სახელოსნოებში სრულდებოდა სამუშაოები.

ელექტროსადგურზე შრომადღეებისა და საშუალებების დანახარჯები ნაწილდება კილოვატსაათობით იმ ელექტროენერგიის რაოდენობის პროპორციულად, რომელიც მიეჯათ ბრიგადებს, ფერმებსა და დამხმარე საწარმოებს.

განაწილებაში მეურნეობის დარგების მიხედვით არ შევა დანახარჯების ის ნაწილი მუშა პირუტყვის, ავტოტრანსპორტის, სარემონტო სახელოსნოებისა და ელექტროსადგურების შენახვაზე, რომელიც გაწეულია კოლმეურნეობის მოსახლეობის და ადგილობრივი ორგანიზაციების ფასიან მომსახურებაზე.

იმ შრომადღეებისა და საშუალებების დანახარჯები, რაც გაწეულ იქნა წინა წელს მიმდინარე წლის მოსავლის მისაღებად, ჩაირიცხება მოცემული საანგარიშო წლის წარმოების ხარჯებში, ხოლო მომდინარე წელს მომავალი წლის მოსავლისათვის გაწეული დანახარჯები შევა მომავალი წლის წარმოების ხარჯებში.

ხარჯებში შეაქვთ აგრეთვე ქონებისა და ნათესების დაზღვევის ხარჯები, აგრეთვე კოლმეურნეობის წარმოების ძირითად საშუალებათა ამორტიზაცია.

საადზღვევო ხარჯები წლის განმავლობაში აღირიცხება ანგარიშით № 14, ხოლო წლის ბოლოს გაანგარიშების წესით ნაწილდება მეურნეობის დარგების მიხედვით იმ მითითებათა შესაბამისად, რომლებიც შეეხება კოლმეურნეობის წლიური ანგარიშის ცხრილების შევსებას. ამ მითითებების შესაბამისად ხდება კოლმეურნეობის ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის გაანგარიშება.

პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებში არ უნდა იქნას შეტანილი: ხარჯები კოლმეურნეობათა კულტურულ საჭიროებებზე (საბავშვო ბაღების, ბიბლიოთეკების, კლუბების შენახვა, კადრების მომზადება), ყველა სახის ხარჯები ღრმა მოხუცთათვის, შრომისუნარდაკარგულთათვის დახმარების გასაწევად და შრომადღეების დარიცხვა ქალებისათვის ორსულობის და მშობიარობის გამო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების (მოწყობილობის ჩათვლით) დაზღვევისა და ამორტიზაციის ხარჯები.

საერთო-სამეურნეო ხარჯები წლის ბოლოს გაანგარიშების წესით ნაწილდება კულტურების, ფერმებისა და საწარმოების მიხედვით მეურნეობის ამ დარგებში შრომადღეების პირდაპირი დანახარჯების პროპორციულად. მომსახურე დარგებზე საერთო-სამეურნეო ხარჯები არ უნდა განაწილდეს.

დანახარჯების გაანგარიშება პროდუქციის ერთეულზე

შრომადღეებისა და საშუალებების დანახარჯების აღრიცხვისა და განაწილების ზემოაღნიშნული წესი საშუალებას გვაძლევს წლის ბოლოს გამოვიანგარიშოთ თვითეულ კულტურაზე (ან კულტურათა ჯგუფზე), თვითეულ ფერმაზე და თვითეულ საწარმოზე ყველა დანახარჯები და გავიანგარიშოთ დანახარჯები პროდუქციის თვითეულ სახეზე.

მეურნეობის ბევრი დარგი გვაძლევს არა ერთი, არამედ ორი სახის პროდუქციას, ძირითადსა და დამატებითს (მაგალითად, მარცვლეულსა და ჩალას), ან დაკავშირებულ პროდუქციას (მაგალითად, სელის ბოჭკო და სელის თესლი, ხორცი და მატყლი). ამიტომ პროდუქციის თვითეული სახის წარმოებაზე შრომადღეებისა და საშუალებების დანახარჯების ცალ-ცალკე განსაზღვრისათვის საჭიროა ყველა დანახარჯი, რომელიც აღრიცხულია მოცემულ კულტურაზე (კულტურათა ჯგუფზე) ან მეცხოველეობის დარგში, წინასწარ განაწილდეს მიღებული პროდუქციის სახეთა მიხედვით მისი ღირებულების პროპორციულად. რეკომენდებულია ამ მიზნით პროდუქციის შეფასება წარმოებდეს სახელმწიფო შესყიდვის ფასებში (სეზონური დანამატების გარეშე), ხოლო იმ პროდუქციისა, რომელიც სახელმწიფოს მიეყიდება კონტრაქტაციით, — კონტრაქტაციის ფასებში (პრემიანწანამატის გარეშე). მაგალითად, მეცხვარეობის ფერმაში წლის განმავლობაში დაიხარჯა 13.540 შრომადღე (პირდაპირი და ყველა არაპირდაპირი დანახარჯები აღებულია ერთად); იმავე ხნის განმავლობაში ფერმაში სახელმწიფო შესყიდვის ფასებში მიღებულია 157.850 მანეთის ხორცი და 145.750 მანეთის მატყლი. მაშასადამე, ხორცზე მოდის ფერმის მთელი პროდუქციის ღირებულების 52 პროცენტი და მატყლზე — 48 პროცენტი. ამ პროცენტული შეფარდებით ნაწილდება ფერმაში დახარჯული შრომადღეებიც: ხორცის წარმოებაზე — 7.041 და მატყლის წარმოებაზე — 6.499 შრომადღე.

ამავე წესით ნაწილდება ხორცსა და მატყლზე ყველა ფულადი დანახარჯი და ცალკე ხატურალური დანახარჯები მეცხვარეობის ფერმაზე (საკვები და სხვ.).

ზემოთ ნაჩვენები გაანგარიშების შედეგად მიღებული მონაცემები პროდუქციის ერთეულზე გაწეული დანახარჯების შესახებ არ წარმოადგენს თვითღირებულებას. აქ დარიცხული შრომადღეები ფულზე არ გადაჰყავთ, საკუთარი წარმოების პროდუქციის დანახარჯებს იღებენ არა თვითღირებულების მიხედვით, არამედ სახელმწიფო შესყიდვისა და კონტრაქტაციის ფასებში. მიუხედავად ამისა, ეს უბრალო გაანგარიშება საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ოდენობა და შემადგენლობა, შევადაროთ ისინი წინა წელს გაწეულ დანახარჯებს ან შრომადღეებისა და ფულად — მატერიალური საშუალებების დანახარჯების დონეს სხვა კოლმეურნეობებში, გამოვაღლინოთ რეზერვები და გამოვნახოთ პროდუქციის ერთეულზე შრომისა და საშუალებების დანახარჯების შემცირების გზები.

საჭირო დამხმარე ცხრილები მთლიანად კოლმეურნეობაში პროდუქციის ძირითადი სახეების წარმოებაზე დანახარჯების გაანგარიშებისათვის მოცემულია კოლმეურნეობის 1956 წლის წლიური ანგარიშის დამატებებში, ხოლო წლიური ანგარიშის ცხრილების შევსების მითითებებში მოცემულია სათანადო განმარტებები.

იმისათვის, რომ უფრო სრულად იქნას გამოვლინებული წარმოების ხარჯების შემცირების არსებული რეზერვები, რეკომენდებულია პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების გაანგარიშება ვაწარმოოთ ბრიგადების მიხედვით, მაგრამ შემოკლებული სქემით, სადაც არ შევა ნატურანაზღაურება მტს-ის სამუშაოებისათვის, საერთო-სამეურნეო ხარჯები, ქონებისა და ნათესების დასაზღვევი ხარჯები, ძირითად საშუალებათა ამორტიზაცია. ბრიგადებისათვის მიმაგრებულ კულტურებზე დანახარჯების შედარებითი ანალიზი შესაძლებელია ხარჯების კიდევ უფრო შეზღუდული წრის—შრომადღეებისა და საშუალებების პირდაპირი და საერთო-საბრიგადო დანახარჯების მიხედვით. ასეთი გამარტივებული გაანგარიშებაც კი საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ, რომელი ბრიგადა უძღვება მეურნეობას ნაკლები დანახარჯებით და საზოგადოებრივი მეურნეობისათვის მეტი სარგებლიანობით და რის მეოხებით მიაღწია მან ამ შედეგებს.

რეკომენდებულია პროდუქციის ერთეულზე შრომადღეებისა და საშუალებების დანახარჯების შემცირებაში ცალკეული ბრიგადების მიღწევები გულდასმით შეისწავლოს კოლმეურნეობის გამგეობამ, განიხილოს საწარმოო თათბირებზე, ხოლო მეურნეობის ეკონომიურად გაძღოლის მეთოდები მთელი კოლმეურნეობის კუთვნილებად აქციოს.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საორგანიზაციო-საკოლმეურნეო საქმეთა სამმართველო.

„სელსკოე ხოზიაისტვო"
19/XII 56 წელი.

ჯონოგით კარჯოფილი ავანსად

ახალციხე. (საკ. კორ.). სოფელ წყალთბილას კოლმეურნეობა „წითელი მესაზღვრის" წევრებმა წელს კარტოფილის უხვი მოსავალი მოიყვანეს. 135 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 128 ცენტნერის ნაცვლად მიღებულია 173 ცენტნერი კარტოფილი.

მეხუთე ბრიგადამ, რომელსაც ნ. აბელიანი ხელმძღვანელობს, 9,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 205 ცენტნერი კარტოფილი მიიღო, გეგმა კი 120 ცენტნერს ითვალისწინებდა. მეთერთმეტე ბრიგადამ (ბრიგადირი ხ. დარბინიანი) ამდენივე ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 193 ცენტნერი კარტოფილის მოსავალი მოიყვანა, ს. პაპიკიანის რგოლმა კი — 213 ცენტნერი. შრომადღეზე ავანსად გაცემულია 8 კილოგრამი კარტოფილი.

კოლმეურნე გ. მელქონიანის ოჯახს, რომელსაც 1.500 შრომადღე აქვს გამომუშავებული, ავანსად 12 ტონა კარტოფილი ერგო, ს. დარბანიანის ოჯახს — 8 ტონა.

რანგუნში ჩავიდა საბჭოთა პროფკავშირული დელეგაცია

რანგუნი, 26 დეკემბერი. (საკდესი). ბირმის პროფკავშირთა კონგრესის მოწვევით დღეს რანგუნში საპასუხო ვიზიტით ჩამოვიდა საბჭოთა პროფკავშირული დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა მუშების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ი. ი. ფედოროვი.

საბჭოთა პროფკავშირულ დელეგაციას აეროდრომზე შეხვდნენ ბირმის პროფკავშირთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი და შრომის მინისტრი უ ტინ ნიუნტი, შრომის სამინისტროს საპარლამენტო მდივანი უ ბა შვე და ბირმის პროფკავშირთა კონგრესისა და შრომის სამინისტროს სხვა პასუხისმგებელი პირები, სსრ კავშირის ელჩი ბირმაში ა. დ. შჩიბორინი.

ბირმაში ყოფნის დროს დელეგაციის წევრები გაეცნობიან ბირმის პროფკავშირთა საქმიანობას, ეწვევიან ბირმის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებს.

ჯოუ ენ-ლაი ლაჰორში ჩავიდა

კარაჩი, 26 დეკემბერი. (საკდესი). როგორც კარაჩის რადიო იუწყება, დღეს პეშავერიდან ლაჰორში ჩავიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი. აეროდრომზე ჯოუ ენ-ლაის შეხვდნენ დასავლეთ პაკისტანის გუბერნატორი, დასავლეთ პაკისტანის მთავრობის წევრები, ლაჰორის სამხედრო ოლქის სარდალი და სხვა მაღალი თანამდებობის სამხედრო და სამოქალაქო პირები. აეროდრომიდან ქალაქამდე მთელ გზაზე ჯოუ ენ-ლაისა და მის თანმხლებ პირებს მოსახლეობა გულთბილად მიესალმებოდა. მიმართა რა მისალმებით ლაჰორის მცხოვრებლებს, ჯოუ ენ-ლაიმ აღნიშნა, რომ პაკისტანსა და ჩინეთს შორის, მიუხედავად პოლიტიკური სისტემების განსხვავებისა და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ საკითხში ამ ორი ქვეყნის თვალსაზრისი სხვადასხვანაირია, არსებობს ყველა შესაძლებლობა მეგობრული თანამშრომლობისათვის.

ბუდაპეშტის აღდგენა

ბუდაპეშტი, 26 დეკემბერი. (საკდესი). ბუდაპეშტში სულ უფრო მცირდება იმ საზოგადოებრივ შენობათა და საცხოვრებელ სახლთა რიცხვი, რომლებსაც ემჩნევა კონტრრევოლუციური ამბოხების დროს მიღებული დაზიანების კვალი.

ბუდაპეშტის საქალაქო საბჭოსა და სამინისტროების სამშენებლო ორგანიზაციებმა ქალაქის მოსახლეობის დახმარებით უკანასკნელ ხანს წესრიგზე მოიყვანეს 20 ათასამდე ბინა.

დასავლეთის პრესისა და რადიოს ჯორების საწინააღმდეგოდ, ბუდაპეშტში ბინებით უზრუნველყოფილია უკვე ყველა ოჯახი, რომელთა ბინები დაანგრიეს ან დაიზიანეს ფაშისტმა ბანდიტებმა ბრძოლების მსვლელობაში.

ქალაქში, რა თქმა უნდა, არის კიდევ ძლიერ დაზიანებული სახლები, მაგრამ მათი აღდგენა აგრეთვე სწრაფი ტემპებით წარმოებს. აღდგენითს სამუშაოებში ამჟამად ჩაბმულია 11 ათასზე მეტი მშენებელი მუშა. დიდ დახმარებას უწევენ მოხალისეთა ბრიგადები, რომლებიც შემდგარი არიან უმთავრესად ახალგაზრდებისაგან. ამ ბრიგადებს ქალაქის წესრიგზე მოყვანის სამუშაოები საშობაო დღესასწაულის დღეებშიც კი არ შეუწყვეტიათ.

უნგრელი ლგოლვილები სამშობლოში ბრუნდებიან

ბუდაპეშტი, 26 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ვაშინგტონის დეპეშათა სააგენტო იუწყება, უნგრეთის მისიამ ვენაში გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ დღემდე ავსტრიიდან უნგრეთში დაბრუნდა 7 ათასი უნგრელი ლტოლვილი.

თანახმად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის ბრძანებულებისა ამნისტიის შესახებ, დაბრუნებულნი არავითარ დევნას არ განიცდიან ხელისუფალთა მხრივ.

უნგრეთის საზღვრისპირა პუნქტებში იმ პირებს, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებიან, ამარაგებენ სურსათით და აძლევენ რკინიგზის უფასო ბილეთს საცხოვრებელ ადგილამდე.

იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის სესია

ბელგრადი, 26 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, დღეს ბელგრადში გაიხსნა იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის სესია. სესია განიხილავს საკავშირო საზოგადოებრივი გეგმის პროექტს და 1957 წლის ბიუჯეტის პროექტს.

სუმატრის ამბების გამო

ჯაკარტა, 26 დეკემბერი. (საკდესი). მიმართავს რა სამხედრო მოსამსახურეებს, ინდონეზიის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი პოლკოვნიკ სიმბოლონის მოქმედებას, რომელმაც ხელში ჩაიგდო ძალაუფლება ჩრდილოეთ სუმატრის პირველი სამხედრო ოლქის ტერიტორიაზე და გაწყვიტა ურთიერთობა ცენტრალურ მთავრობასთან, ახასიათებს როგორც მოქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება სამხედრო ფიცსა და სახელმწიფო მოვალეობას. შეიარაღებული ძალების დისციპლინა და სულისკვეთება, აცხადებს გაერთიანებული შტაბი, შეურყეველი უნდა დარჩეს.

ისრაელის საომარი მზადება

ლონდონი, 26 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ტელ-ავივიდან იუწყება, ისრაელის მთავრობამ ელატში აქაბის ყურეში შექმნა თავისი სამხედრო-საზღვაო ბაზა.

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებზე

ჩინეთი

პეკინი, 26 დეკემბერი. (საკდესი). დღეს პეკინის ყველა გაზეთი დიდ ადგილს უთმობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს. პირველ გვერდზე დიდი სათაურებით გაზეთები ათავსებენ საინფორმაციო ცნობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ და პლენუმის დადგენილებებს.

გაზეთი „ჟენმინჟიბაო" ამ ცნობებს აქვეყნებს სათაურით: „წინ, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზით".

გაზეთმა „დაგუნბაომ" საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ მოათავსა სათაურით: „დემოკრატიული ცენტრალიზმის სისტემის თანმიმდევრული განხორციელება სამეურნეო მუშაობაში".

ახალგაზრდობის ახალ-დემოკრატიული კავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ჯუნგოციენიანბაო" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებებს ბეჭდავს დიდი სათაურით: „სოციალისტური სისტემის უპირატესობათა ახალი მკაფიო დადასტურება. საბჭოთა კავშირმა 1956 წელს უდიდეს წარმატებებს მიაღწია. არის ყველა პირობა კომუნიზმისაკენ წინსვლისათვის".

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 26 დეკემბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

მუშათა კლასი, გლეხობა და ინტელიგენცია ამ გადაწყვეტილებებს ახასიათებენ როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის საბრძოლო პროგრამას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ტრანსპორტზე, ქვანახშირის შახტებში, მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში დღეს გაიმართა საუბრები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებათა შესახებ. საუბრების მონაწილენი ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი ცხადყოფენ საბჭოთა ქვეყნის ახალ ეკონომიურ წარმატებებს, საბჭოთა კავშირის ინდუსტრიული ძლიერების შემდგომი განვითარებისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების დიდებულ გეგმებს.

რუმინეთი

ბუქარესტი, 26 დეკემბერი. (საკდესი). ბუქარესტის რადიო, კომენტარს უკეთებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დოკუმენტებს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მათ დიდი ინტერესი გამოიწვიეს მთელ მსოფლიოში. პლენუმის გადაწყვეტილებანი ერთხელ კიდევ ცხადყოფენ სახალხო მეურნეობის სოციალისტური სისტემის უდიდეს უპირატესობას კაპიტალისტურთან შედარებით. საბჭოთა კავშირში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებები უშუალოდ დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ სოციალისტური წარმოება, რომელიც მთლიანად ემსახურება ხალხის ინტერესებს, უსაზღვრო სამოქმედო ასპარეზს ქმნის მასების შემოქმედებითი ინიციატივისათვის.

ეხება რა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხს, ბუქარესტის რადიოს კომენტატორი აღნიშნავს, რომ პლენუმის მიერ შემუშავებული ღონისძიებათა პროგრამა სავსებით შეესაბამება სოციალისტური ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპებს.

ალბანეთი

ტირანა, 26 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთებმა გამოაქვეყნეს ტექსტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებებისა „მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შედგენის სამუშაოთა დამთავრების შესახებ და 1956-1960 წლების საკონტროლო ციფრებისა და 1957 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის დაზუსტებათა მიმართულების შესახებ" და „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხების შესახებ".

საფრანგეთი

პარიზი, 26 დეკემბერი. (საკდესი). გუშინდელი საღამოს და დღევანდელი დილის გაზეთების „ურანდღების ცენტრშია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებები. აქვეყნებენ რა ამ დოკუმენტების შინაარსს თვალსაჩინო ადგილზე და დიდი სათაურებით, გაზეთები აღნიშნავენ, რომ პლენუმის გადაწყვეტილებათა მიზანია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება. ამ აზრს, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნავენ გაზეთები „ფრანს-სუარი" და „მონდი".

ზოგიერთი მემარჯვენე გაზეთი მთავარ ყურადღებას აქცევს დაგეგმვისა და გეგმების შესრულების ნაკლოვანებებს, რომლებიც აღნიშნულია პლენუმის დადგენილებებში. გაზეთმა „ორორმა" ცნობა პლენუმის შესახებ მნიშვნელოვანწილად ამ თემას უძღვნა.

ამასთანავე გაზეთები აღნიშნავენ, რომ პლენუმის გადაწყვეტილებანი ითვალისწინებენ მძიმე მრეწველობის უპირატეს განვითარებას. გაზეთი „კომბა" წერს, რომ, ინარჩუნებენ რა მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების მარქსისტულ-ლენინურ პრინციპს, პლენუმის გადაწყვეტილებები მიმართულია საბჭოთა ხალხის მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ.

გაზეთი „ლიბერასიონი", კომენტარს უკეთებს რა პლენუმის დადგენილებებს, მოგვაგონებს, რომ საბჭოთა ხალხის ეკონომიური ამოცანა ის არის, რომ ისტორიულად უმოკლეს ვადაში დაეწიოს და გაუსწოროს ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. „სავსებით გასაგებია ის კანონიერი კმაყოფილება, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი განიცდის, — წერს გაზეთი, — როცა ამ პირობებში ხაზგასმით აღნიშნავს სოციალისტური სისტემის დამტკიცებულ უდიდეს უპირატესობებს კაპიტალისტური სისტემის წინაშე. სოციალისტური სისტემის წარმატებანი ცხადყოფენ, რომ ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებაში, რომელიც ჯერჯერობით უფრო დაბალია, ვიდრე ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მიღწეულია უდიდესი პროგრესი, რაც მომავლის საწინდარია".

გაზეთი „ლუმანიტე" წერს: „მთლიანად ცენტრალური კომიტეტის ეს პლენუმი ხელს შეუწყობს სოციალისტური ეკონომიკისა და საბჭოთა დემოკრატიის განვითარების იმ გენერალური ხაზის უფრო კონკრეტულ და უფრო დეტალურ დამუშავებას, რომელიც XX ყრილობამ დასახა.

საბჭოთა ეკონომიკის მთავარი ამოცანა ის არის, რომ ისტორიულად უმოკლეს ვადაში დაეწიოს და გაუსწოროს ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებაში. ცენტრალურმა კომიტეტმა ეს ამოცანა დაადასტურა რწმენით, რომელიც უფრო კანონიერია, ვიდრე ოდესმე ყოფილა".

მდგომარეობა კვიპროსზე

ლონდონი, 26 დეკემბერი. (საკდესი). კვიპროსიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ინგლისის ხელისუფალნი აძლიერებენ რეპრესიულ ღონისძიებებს, რათა ჩაახშონ კვიპროსელთა მოძრაობა თვითგამორკვევის უფლებისათვის.

როგორც პრესა იუწყება, ამ დღეებში ნიკოზიაში სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს 6 კვიპროსელ ჭაბუკს, ამ მოძრაობის მონაწილეებს, რომლებსაც ბრალდებათ „შეთქმულება" „კვიპროსის ხელისუფალთა" წინააღმდეგ.

გუშინ ინგლისის ჯარებმა აღყა შემოარტყეს ნიკოზიის რამდენიმე რაიონს და მოახდინეს ჩხრეკა. ინგლისელ პარაშუტისტთა რაზმები კვიპროსის დასავლეთი ნაწილის მთის რაიონებში აზორციელებენ ეგრეთწოდებულ მოჩხრეკის ოპერაციებს. გაზეთები იუწყებიან, რომ 25 დეკემბერს 600-მდე კვიპროსელმა, რომლებიც პატიმართა ბანაკებში იმყოფებიან, გამოაცხადა შიმშილობა იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ ისინი გაუსამართლებლად ჰყავთ საპატიმროში.

არდადეგები სკოლებში

29 დეკემბერს რესპუბლიკის სკოლებში მთავრდება 1956-1957 სასწავლო წლის პირველი ნახევარი (ანუ მეუნაბავლე ტრიმესტრი — ტრადეგები, რაც გაგრძელდება 10 იანვრამდე ჩათვლით.

საზეიმო ლინეიკები ყველგან სასურველი დროა მოსწავლეთათვის. რამდენი გართობა ელით მათ ამ დღეებში. საქართველოს პროფსაბჭო თბილისის რკინიგზელის სახლში და პლეხანოვის სახელობის კლუბში მართავს დიდ საქალაქო ნაძვისხეებს, რომელთა გარშემო იზეიმებს და იმხიარულებს 24.000 თბილისელი ბავშვი.

საქალაქო ნაძვისხეები მოეწყობა აგრეთვე ბათუმში, სოხუმში, სტალინირში, ქუთაისში, რუსთავში, გორში, ფოთში, ჭიათურაში, ტყვარჩელში, ტყიბულში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. ნაძვისხეებთან გამართულ ზეიმებში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის საუკეთესო მსახიობები.

არდადეგების დღეებში მოეწყობა მოსწავლეთა შეხვედრები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებთან, მწერლებთან, მსახიობებთან, მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებთან, გაიმართება საბავშვო დილები, კონცერტები. მოეწყობა ექსკურსიები დედაქალაქის მუზეუმებში და გამოფენებზე, ახალგაზრდობისათვის გაიმართება სამეჯლისო საღამოები. თბილისელი ბავშვები გაეგზავნებიან ექსკურსიებით გორში, რუსთავში, საგურამოში და სხვ.

ქალაქის ბიბლიოთეკებში გაიმართება ლიტერატურული საღამოები, კონკურსები მხატვრული ნაწარმოებების საუკეთესო მკითხველების და მთხრობელების გამოსავლენებლად.

მოსწავლეები არდადეგების დღეებში მონაწილეობას მიიღებენ სასპორტო შეჯიბრებებში, რომლებიც გაიმართება პროფსაბჭოს ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების ბაზებში.

დედაქალაქის თეატრებსა და კინოთეატრებში სისტემატურად გაიმართება დილის სპექტაკლები და კინოსეანსები, ნაჩვენები იქნება საბავშვო დადგმები და კინოსურათები.

საახალწლო ვაჭრობა

უკვე მეოთხე დღეა, რაც თბილისში მიმდინარეობს საახალწლო ვაჭრობა. ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონიდან კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს ყოველდღე ჩამოაქვთ დიდძალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

გუშინ დედაქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებში ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებმა 40 ავტომანქანით უხვად ჩამოიტანეს ღვინო, სიმინდის ფქვილი, კარტოფილი, გოჭის და ცხვრის ხორცი, ფრინველი, ნიგოზი, ყურძენი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ყველაზე მეტი პროდუქტები შემოიტანა სოფელ ბოლნისის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. სირაჩიანი). უკანასკნელ წლებში აქ საგრძნობლად გადიდდა როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, ისე საზოგადოებრივი მეცხოველეობა და მისი პროდუქტიულობა. მოსავლიანობის ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ იზრდება კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი. წელს აქ პირველად შემოიღეს მოსავლიანობის განაწილების პროგრესული წესი — ყოველთვიური ავანსირება. ამან კოლმეურნეებს შრომის ნაყოფიერების გადიდების დიდი სტიმული მისცა. კოლმეურნეები ახლა თვითეულ შრომადღეზე იღებენ 4 კილოგრამ მარცვლეულს, 1 ლიტრ ღვინოს, აგრეთვე თაფლს, ვაშლს. კოლმეურნეობამ გუშინ თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში გასაყიდად დიდი რაოდენობით ჩამოიტანა გოჭის ხორცი, ღვინო და ბოსტნეული.

ასევე უხვად შემოიტანეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები სოფლების ქოშაქილისის, მუსოფრიანის, რატევნის, ფახრალოს, წითელსოფლის და სხვა კოლმეურნეობებმა.

ჩამოსულ კოლმეურნეებს კულტურულ მომსახურებას უწევენ საკოლმეურნეო ბაზრების ბიბლიოთეკები, სამკითხველოები. ეწყობა ლექციები, საუბრები.

დედაქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებმა მოაწყეს სამრეწველო საქონლით შეზვედრი ვაჭრობა, გასაყიდად გამოიტანეს მრავალფეროვანი ასორტიმენტის სამრეწველო საქონელი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

ღღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — მშვიდობისათვის (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით), **რუსთაველის სახელობის** — ოიდიპოს მეფე, **მარჯანიშვილის სახელობის** — მკაცრი ყალიმშვილები, **გრიბოედოვის სახელობის**—საუცხოო შენადნობი, **მუსიკალური კომედიის** — ახალი სიმღერა, **სომხური დრამის** — დანგრეული კერა, **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—კომბლე (10 ს.), **თოჯინების ქართული** — ბურატინოს თავგადასავალი (10 ს. და 2 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — ვენა ცეკვავს, **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, ოქტომბერი, თბილისი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — მუნა, **კოლხიდა, კიროვის სახელობის პარკი** — ვინ არის იგი? **კომკავშირელი, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — ბაშიაჩუკი, **სარეწაო კოოპერაციის კულტურის ცენტრალური სახლი, დიდუბე, კოლმეურნე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — აბეზარა, **ოფიცერთა სახლი** — სინდისი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი**—აელიტა.

მეუღლე ვანო, შვილები გულნარა, ოთარ, დედა ანასტასია, დები ლიზა, ნინო, ვალია, ძმა დავით ოჯახებით იუწყებიან

ნეოლინა კონსტანტინეს-ასულ ებრალიძე-ჯაიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28_29/XII 8 ს. გამოსვენება 30/XII 3½ ს. საბჭოს ქ. № 65.

დედა ბარბარე, მამა გიორგი, მეუღლე ნონა, შვილები გია, მანანა, ძმები მერაბ, დურმიშხან, რძლები მარიკა, ცირა ოჯახებით იუწყებიან

გივი გიორგის-ძე კეზელის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XII, 4 ს. ქ. დუშეთში. გამოსვენება ბინიდან, 1905 წლის რევოლუციის ქ. № 15.

მეუღლე მიხეილ, შვილები მაგდა, ვერა, სალომე, ვახტანგ, ოთარ, სიძე ი. ნამგალაძე იუწყებიან

ელენე ბესარიონის ასულ მაისურაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XII სოფელ კნოლეშში (ქარელის რ.).

მეუღლე ფეთო ბალანჩივაძე, შვილები თამარ, გულიკო, დები მარო, თამარ, სიძეები ს. სიგაევი, ე. ბარნაბიშვილი ოჯახებით იუწყებიან

თეოფილე სიმონის-ძე კეკაყმაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-XII, 8 ს. გამოსვენება 30-XII, 4 ს. პრესის ქ. № 2.

შვილი ბაბულია, სიძე ვ. მუშკუდიანი ოჯახით იუწყებიან

ვლადიმერ ქუჩუს-ძე დანელიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-XII, 8 ს. გამოსვენება 30-XII, 4 ს. აბანოს ქ. № 31.

მეუღლე ელენე, შვილები ლილი, მერი, ზურაბ, დები ელენე, ნინო ოჯახებით იუწყებიან

პარმენ ნიკოლოზის-ძე სარდალიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-XII, 8 ს. გამოსვენება 30-XII, 4 ს. საბჭოს ქ. № 202.

შვილი მერი, ძმები ალისტრო, ვლადიმერ ვადაჭკორიები ოჯახებით იუწყებიან

ზაქარია ავთანდილის-ძე ვადაჭკორიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XII ლანჩხუთში.